№ 2783
სამშაბათი,
29 მარტი

ცნობის ფურცელი

№ 2783
სამშაბათი
29 მარტი

გამოწერის ფასი: წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, [illegible]დღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ. въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 37

მეუღლე და შვილები გარდაცვალებულის
თავ. სვიმონ კონსტანტინეს ძე მიქელაძისა
გულითად მადლობას უძღვნიან ყველა იმ პირთ, რომელთაც პატივი სცეს დეპეშებითა და ვინც მონაწილეობა მიიღო მათ მწუხარებაში (1—02379—1)

ძმ. ნიკიტინების ცირკი.
სამშაბათს, 29 მარტს, დიდი წარმოდგენა 3 განყოფილებად. შორის საღამოს ასე 11 საათზე გაიმართება ორი **კავკასიური ჭიდაობა**. ცნობილი ჰერკულესი **ლიტვინოვი** დაეჭიდება ფალავანს **ვანო ბერძნიშვილს**. გამარჯვებულს ვერცხლის საათი. მეორე ჭიდაობა: ცნობილი ფალავანი **ვანო თარხანოვი** განთქმულ ფალავანს **იოსებ მოტოშვილს**. გამარჯვებულს ვერცხლის საათი. დასასრულ კომიკური პანტომიმა. დასაწყისი საღამოს 8½ საათ. დაწვრილებით პროგრამაში. (1—1)

ქუთაისში გახსნილია
იაფი ვაჭრობა
ყოველ გვარ საწერ და საკანცელარიო ნივთებისა
სავაჭრო სახლი **ი. გოკიელოვის შვილები**
(10—6—4)

სამღვდელოების საყურადღებოდ
დაიბეჭდა და იყიდება „**მარხვანი**“ ხუცურს ასოებით, სიონის სობოროს მღვდელ ალექსანდრე სიმონოვთან. ფასი 5 მანეთი. (3—2)

სასტალრო სახელოსნო
იოსებ მაჭავარიანისა
იღებს შემოკვეთას ყოველნაირ ავეჯისას, ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასში. იქვე იყიდება დამზადებული წიგნების და ბუფეტის შკაფები და სასადილო სტოლები. ელისაბედის ქუჩა № 19. (10—6—6)

ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა
„კოლხიდა“-სთან
იყიდება: **ნერგები** დამყნილ ვაზისა, ხეხილისა, ბჟოლისა (თუთისა). **თესლეულობა—აბრეშუმისა** (თეთრი და ყვითელი), **ბამბისა, ბოსტნეულისა**, და სხვა. შაბიამანი, გოგირდი, სამეურნეო იარაღი და მანქანები. ქართული პრეისკურანტი უფასოდ. (10—6—8)

ქ. ქუთაისში, პუშკინის ქუჩაზე, სადაც მოთავსებული იყო სასტუმრო „ფრანცია“, გაიხსნა პირველ ხარისხოვანი სასტუმრო
„გრანდ-ოტელი“
შუა ქალაქში, ფოსტის და ვაგზლის ახლოს. შენობა სრულიად გაახლებულია და ახლად მოწყობილი. ყოველივე მოწყობილება ახალია და საუკეთესო ღირსებისა, მშვენიერი რესტორანით, საოჯახო კაბინეტით და სამკითხველოთი, საუკეთესო სამზარეულოთი სადაც მზადდება ევროპიული და ადგილობრივი საჭმელები გამოცდილ მზარეულის ზედამხედველობით. სასტუმრო განათებულია ელექტრონით. მსურველთ შეუძლიათ მოითხოვონ თბილი და ცივი ვანები და დუში. მოსამსახურეები ქალები და კაცები ცქვიტნი და ზრდილობიანნი. ნომრების ფასი ერთი მანეთიდან. ფასები ყველაფერზე ზომიერია ყველგან და ყოველგვარად სისუფთავე და სიფაქიზეა. (15—8—10)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის ლ. ა. გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დილით:
- **ვ. ი. ჭიჭინაძე.** კბილის 8—9 საათ.
- **გ. გ. მაღალაშვილი.** შინაგანი ოთხშაბ. 9—10 საათ. და კვირაობით 9—11 საათ.
- **ა. ი. ბალარჯიშვილი.**—ბავშვებისა. 9½—10½ ს.
- **ნ. ი. მუღინი.**—ყურისა, სახისა და ცხვ. 10—11.
- **ი. დ. [illegible].**—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.
- **ძ. მ. მაჭავარიანი.** შინაგ. და ბავშვ. 12—1.
- **ლ. ა. გედევანიშვილი.**—შინაგანი, და ნერვებისა 12—1 ს.
- **ქალი მ. კ. [illegible].**—ქალისა და სა[illegible]ო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
- **ქ. ნ. [illegible].**—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათ.
- **ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.**—ქირურგია 1—2.

საღამოს:
- **ნ. ი. ზაქაძე.**—შინაგ. 6—7 საათამდე.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიანთ გარეშე ექიმ-ქირურგებსაც.
ავადმყოფის რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ორი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგეობით. კროვატები დღეში ღირს 2-დან სამ მანეთამდე. საზოგადო და ნომერი—5 მან.
ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეორე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 ნ.
ტელეფონი № 274.

კბილის ექიმი
ე. ი. ბალარჯიშვილი
იღებს ავადმყოფებს 10—3 საათამდე და 5—7 მიხეილის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვერდით. (807—28—3)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
ბინა აქვს: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდი.

ექიმი
ვ. ი. ტერ-გრიგორიანცი
შინაგანთა, სპეციალისტი გულისა და ბავშვების ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—7 საღ. მიხეილის პრ. № 545 ტელეფონი № 825. (90 296—18).

ბავშვების ექიმი
ა. ი. ბალარჯიშვილი
კიევის უნივერსიტეტის ბავშვთა სნეულებათა კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს მხოლოდ 15 წ. ასაკამდე ყოველ დღე 11—12 წ.
მიხეილის პრ. № 115. ნემცების ეკლესიის გვერდით ტელეფ. 729. (30—91—19)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
იღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირის საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი, [illegible] პირდაპირ № 13. (60—28—46)

ქ. ბათუმში
ექიმი ა. გ. მაღალაშვილი
მიიღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის.
ტფილისის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში კომერციულ ბანკის სახლი. (60—403—44)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
26 მარტი.

სინგაპური, 26 მარტი („რეიტერი“). გემ „ტარა“-ს კამანდირი იუწყება, რუსების გემი დავინახე 130 მილის მანძილზე ჩრდილოეთით სინგაპურიდანაო.

პენანგი, 26 მარტი (რეიტ.). ორის გემის კამანდირები დაბეჯითებით ამბობენ, მალაკის სრუტეში რუსების დიდი ფლოტილია დავინახეთო, ამის შემდეგ 25 ტრანსპორტმა ღუზა გადაიგდეს სინგაპურთან. გემ „კუნსანგ“-ის კამანდირი აცხადებს, დავინახე, როგორც ეტყობოდა, იაპონელების 12 კრეისერი, რომელნიც ჩემ გემის წინ მიდიოდნენ; ეს გემიო, დასძენს ხსენებული კამანდირი, ალბად, იაპონელთ მზვერავ ესკადრას ეკუთვნოდაო. აქ გაფაციცებით ელიან საზღვაო ბრძოლას სინგაპურთან.

სინგაპური, 26 მარტი (რეიტ.). ნაშუადღევის 2 საათზე შეამჩნიეს რუსების ესკადრა, რომელიც, ეტყობოდა, დურიანის სრუტისაკენ მიემგზავრებოდა, 37 მილის მანძილზე სამხრეთ-აღმოსავლეთით სინგაპურიდან. ნაშუადღევს 3 საათ. და 30 წ.: ამ ჟამად რუსების ესკადრა სინგაპურის ახლოს ჩინეთის ზღვისაკენ მიემართება.

ჰონკონგი, 26 მარტი. იუწყებიან, პენანგსა და სინგაპურს შორის 31 სამხედრო გემი გამოჩნდაო. ჩინეთის ზღვის ბრიტანიის ესკადრა მზადაა წასასვლელად. კრეისერი „სუტრეჯ“ დღეს სინგაპურში ჩადის. ჩქარა მას ჯავშნოსანი „ოკეან“-ი და მეორე კრეისერიც უკან გაჰყვებიან.

ჯიბუტი, 26 მარტი. გუშინ გავიდა ნებოგატოვის ესკადრა და სამხრეთით გაემართა.

ლონდონი, 26 მარტი. („რეიტ.“). ბარონმა სუემაცუმ სთქვა კონტრიბუციის შესახებ, იაპონიამ თავის არსებობის საქმე სამკვდრო-სასიცოცხლოდ გახადა რუსეთისთვის-კი ომი—უბრალო ჟინიანობას შეადგენსო. თუ იაპონია დამარცხდებოდა, კონტრიბუცია უნდა გადაეხადნა, ამისთვის რუსეთმაც უნდა გადაიხადოს კონტრიბუცია, თუ ვერ გაიმარჯვაო.

ბერლინი, 26 მარტი. როჟესტვენსკის ესკადრის წასვლას უდიდეს საქმედ სთვლიან; ეს ესკადრა სინგაპურთან იდგა და დილის 8 საათზე ჩინეთის წყლებში წავიდა. „ლოკალ ანცაიგერ“-ი ამბობს, ტოგო საბოლოოთ შეებრძოლება როჟესტვენსკის უფრო ჩრდილოეთით, თავის სამშობლოსაკენ ახლოსო. „ტაგებლატ“-ი ამნაირად ასათაურებს ამ ცნობას: „რუსეთის ესკადრის წინ გალაშქრება“.

ჩანჩიავაძი. 26 მარტი. 22 მარტს მტერი აღმოსავლეთის ფრონტზე არ წასულა წინ გუიუშის იქით, რომელიც 18 მარტს დაიჭირა. ბარონოვის რაზმმა განდევნა იაპონელები კულდუსიდან, დაატყვევა რა ერთი ოფიცერი და სამი დაჭრილი სალდათი. ხუნხუზები აძლიერებენ მოქმედებას. ჯარებმა დაისვენეს. ჯარს შეუწყვეტლივ ემატება.

ლონდონი. ინგლისის ესკადრა ბომბეიდან გავიდა და, როგორც ეტყობა, მასკატში მიდის. ელოდებიან საქმისთვის საბოლოო ზომების მიღებას, რათა სულთანი ინდოეთის მთავრობას დაემორჩილოს.

ნიუ-იორკი. იაპონიის მთავრობამ 500 ათასი თოფის კონდახი შეუკვეთა.

პეკინი. იმპერატორმა ნება დართო შეერთებულ იქნან შანხაი და პეკინი მავთულიან ტელეგრაფით.

27 მარტი

ბერლინი. „ლოკალ ანცაიგერ“-ის ლონდონელი კორესპონდენტი ტელეგრაფით იუწყება, დურიანის სრუტესა და მის ახლომახლო წყლებში ნატუნის კუნძულებამდე იაპონიის გემები არ შეუმჩნევიათ; სამაგიეროდ ჩრდილოეთი და სამხრეთი ნაწილები ზონდის სრუტესი სავსეა იაპონელთა გემებითო. იაპონელებს ეგონათ, რუსეთის ესკადრა გაივლის მალაკის სრუტის სამხრეთ ნაწილით და თავის ზღვითო.

ლონდონი, 26 მარტი. „რეიტერის სააგენტო“ აცხადებს, ინგლისის ესკადრა ჰონკონგიდან წავიდა და თან ჩვეულებრივი მინდობილება წაიღო. გემების წასვლას არ აქვს არაფერი საერთო რუსეთის ესკადრის მალაკის სრუტეში გამოჩენასთანო.

სინგაპური, 26 მარტი (რეიტერი). ბალტიის ესკადრამ სამის ნახევარ საათზე ჩაიარა 7 მილის მანძილზე. ესკადრას 6 ჯავშნოსანი, 9 კრეისერი, 8 კონტრ-ნაღმოსანი 3 „ჰამბურგ-ამერიკა-ლინიი“-ს გემი, 9 თავისუფალ ფლოტის გემი, 16 სანახშირე, ერთი დაღუპულთა გადამრჩენელი და ერთიც საჰოსპიტალო გემი შეადგენს. ესკადრა არ შეჩერებულა. რუსეთის კონსულმა დეპეშები გადასცა ესკადრას. ესკადრასთან მისვლის ნება მხოლოდ კონსულისა და „რეიტერ“-ის კორესპონდენტის კატერებს დართეს. სინგაპურის მკვიდრნი ძლიერ აღელვებულნი არიან. ყველანი ზღვის ნაპირას გავიდნენ და თვალს ადევნებდნენ ესკადრის მოძრაობას. საზარბაზნოში მოსამსახურეებს ნაბრძანები ჰქონდათ მთელი დღე პოსტზე ყოფილიყვნენ. სრუტეში ყველგან ცარიელი ყუთები დაცურავენ. ჯერ კიდევ შესაძლოდ მიაჩნიათ სინგაპურთან ბრძოლა. ძლიერ აღელვებული არიან ყველანი.

ვარშავა. [illegible] გარდაიცვალა. „ვარშავ. დნევნიკ“-ის სიტყვით, იარაღი, აკრძალვის შემდეგ, კონტრაბანდათ შემოაქვთ ვარშავაში საზღვარ-გარეთიდან.

მესსინა, 26 მარტი. გუშინ იმპერატორმა ვილჰელმმა მადლობა გაუგზავნა ტელეგრაფით იტალიის მეფეს ნეაპოლში დახვედრისათვის, რამაც შემთხვევა მისცა მათ განეახლებინათ მეგობრული დამოკიდებულება.

მადრიდი, 26 მარტი. ჩამოინგრა წყლის საცავის რეზერვუარი, რომელზედაც მუშები მუშაობდნენ, და 400 კაცზე მეტი მოიტანა ქვეშ.

თეირანი. შაჰის ბრძანებით არმია განაახლეს. მას შეადგენს 12 ქვეითი დივიზია, არტილერია და კავალერია სარდრების თაოსნობით. პირველ დივიზიაში 11 ათასი კაცი იქნება.

სტამბოლი. ხელი მოაწერა ხელშეკრულობას ქარხანა კრუპმა, რომელმაც ჩქარ მსროლელი ზარბაზანი უნდა გააკეთოს 91 ბატარეისთვის და აგრეთვე 1,970,000 გირვ. სტერ. [illegible].

მოსკოვი, 26 მარტი. 6 აპრილს მოსკოვში დანიშნულია სხდომა სენატის საგანგებო სამსჯავროსი, სენატორ დეიერის თავმჯდომარეობით. ამათ უნდა გაარჩიონ დიდ მთავრის მკვლელის საქმე.

სოხუმი, 26 მარტი. ოჩამჩირეში დასწვეს სადაბო სამმართველო, რომელიც სულ ნაცრად იქცა ყველა ქაღალდებიანად. ქუჩაში მძიმედ დასჭრა უცნობმა პირმა აქ მცხოვრები ძაძიგური, რომელმაც [illegible] მძარცველები აღმოაჩინა. ღამით წესიერების დასაცველად აქ მოვიდა ლაბინის პოლკის ორი სოტნა ჯარის კაცი.

სიმფეროპოლი, 26 მარტი. საბჭოს კომისიამ დაადგინა: მოსალოდნელ არეულობის დროისთვის დაარსდეს თავისუფალი ცეცხლის მქრობელი საზოგადოება, ღამის მცველების არტელი და ქალაქის დასაცველი რაზმი 26 სტრაჟნიკისა და ოთხ ცხენოსან მცველებისაგან.

ბერლინი, 26 მარტი. ულმაში სასამართლომ გადასწყვიტა ოფიცერ კოლმანის მემკვიდრეობის საქმე ბებელის სასარგებლოდ. კოლმანმა თავისი ქონება ბებელს დაუტოვა, ამ უკანასკნელმა კი თავის პარტიას გადასცა.

გროდნო, 26 მარტი. გროდნოს სამეურნეო საზოგადოების წევრების საზოგადო კრებამ გადასწყვიტა წარადგინონ უქვეშევრდომილესი შუამდგომლობა იმ კანონმდებლობის გაუქმებაზე, რომელნიც რელიგიასა და ნაციონალიზმს შეეხებიან; შემოიღონ ყველა ადგილებში ერობა, ყველა წოდებათა საერთო ვოლოსტები და სკოლებში და სამშობლო ენაზე თავისუფალი სწავლება.

სამარა. გამოიცა სავალდებულო დადგენილება დღესასწაულებზე ნოქართა დასვენების შესახებ.

პეტერბურგი, 27 მარტი. გაზეთების სიტყვით, ეგრეთ წოდებულ კონოვალოვის კონფლიქტის გამოსაკვლევად დაარსდა მთავრობის კომისია სენატორ სლუჩევსკის თავმჯდომარეობით. ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშავა მუშების სახელმწიფო ხარჯით დაზღვევის კანონ-პროექტი.

ბერლინი. იტალიის გაზეთების კორესპონდენტებს, რომელნიც სწერენ, რომ რუსეთის და ავსტრიის შორის კონფლიქტი მოხდეს ბალკანეთის საქმეების გამო, იტალია უარს ეტყვის ავსტრიას დახმარებაზე, არ ესმით სამთა კავშირის აზრი.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
26 მარტი

ლონდონი, 26 მარტი. სინგაპურიდან დეპეშა მიიღეს, რომ რუსის 15 სამხედრო გემი, ოთხი კრეისერი, რომელიც თავისუფალ ფლოტის გემებიდან სამხედრო გემებად გადააკეთეს, 14 ქვანახშირის მზიდველი გემი და 5 ნაღმიანი გემი სინგაპურის სრუტეში შევიდნენ და აღმოსავლეთისაკენ გაემართნენ. სინგაპურში რუსის ესკადრა პირველად დილის 9 საათზე ენახათ. რუსის გემებზე წინ მალაკის სრუტეში 12 კრეისერმა გაიარა; ეს კრეისერები, უეჭველია, იაპონიის მზვერავი გემებია ადმირალ ტოგოს ესკადრიდან; ასე რომ რუსები და იაპონელები კარგა ხანს ერთმანეთს თვალ[illegible] ჰხედავდნენ. ჰფიქრობენ, რომ რუსის ესკადრა საფრანგეთის პორტსაიგონში მიდისო.

პარიზი, 26 მარტი. საზღვაო წრეები ჰფიქრობენ, ადმირალი ტოგო დაიცდის, სანამ რუსის ესკადრა ზონდისა ან ფლორესის სრუტეში გაივლის და ჩინეთის ზღვაში შეებრძოლება რუსებსაო.

ლონდონი, 25 მარტი. ჰფიქრობენ, რომ სინგაპურთან აუცილებლად საზღვაო ბრძოლა მოხდებაო. ეს ამბავი მეტად დიდ ინტერესს იწვევს. საღამოს გაზეთების საგანგებო გამოცემანი საბუთს იძლევიან ვიფიქროთ, რომ ადმ. როჟესტვენსკისა და ტოგოს ესკადრები უკვე შეხვდნენ ერთმანეთსაო. ნამდვილად დამტკიცდა, რომ ადმ. როჟესტვენსკის ესკადრა მალაკის სრუტეში შესულა. ყველა იგონებს, რომ იაპონიის სამხედრო გემები „კასაგი“, „ჩიტოზე“, „ავატამარუ“ და „ამერიკამარუ“ 2 მარტს სინგაპურს ახლო შენიშნეს. ერთის დღის წინ იაპონიის 22 სამხედრო გემი ხორობუის კუნძულს ახლო ნახეს; ეს კუნძული 48 ვერსტის მანძილზე მდებარეობს სინგაპურიდან. ადვილად შესაძლებელია, რომ იაპონიის სწრაფლ მავალი კრეისერები უკვე შეხვდებოდნენ როჟესტვენსკის ესკადრას.

ლონდონი, 27 მარტი. გემების დამზღვევის ექსპედიტორები და აგენტები ჰშიშობენ, თუ ადმ. როჟესტვენსკი მოახერხებს და ადმ. ტოგოს ესკადრას ასცდება, რუსის ესკადრა დიდ ზარალს მიაყენებს ჩინეთის ზღვის ნაპირებს, სადაც ამ ჟამად ბევრ გემს ბრინჯი და სხვა სურსათი მიაქვს იაპონიაში. ეშინიანთ, ვაი თუ როჟესტვენსკიმ ჩაძიროს ეს გემებიო. დღეს მიღებულ ცნობების გამო შორეულ აღმოსავლეთს მიმავალ გემების დაზღვევის პრემიამ აიწია. რუსის ესკადრა მეტად ახლო მიდის თურმე ნაპირიდან. აქ ამბობენ, ალბად, რუსის ესკადრას ეშინიან, ვაი თუ იაპონელებმა მოულოდნელად მცურავი ნაღმები გვესროლონო.

პეტერბურგი. გენერალ ლინევიჩის უქვეშევრდომილესი დეპეშები 26 მარტის თარიღით: 1) ნაშუადღევის 8 საათსა და 20 წამზე: „არმიებში ცვლილება არ მომხდარა; ერთი ჩვენი რაზმი 23 მარტს ქალაქ ჩანტუფუში შევიდა; იაპონელებმა ზარბაზანი დაუშინეს“. 2): „24 მარტს შუადღისას ტაიპილინთან ჩვენმა მოწინავე ცხენოსანმა რაზმმა იაპონელთა მზვერავ რაზმზე მიიტანა იერიში. მოკლე შეტაკების შემდეგ 20 იაპონელი დრაგუნი და ერთი დაჭრილი ოფიცერი დაატყვევეს. დანარჩენნი მოჰკლეს. ჩვენ ზარალი არ მოგვსვლია“.

მის იმპერატორებით უდიდებულესობის დეპეშა გენ. ლინევიჩისადმი, 26 მარტის თარიღით: „გულწრფელად მოხარული ვარ, რომ მეოთხე მსროლელთა ბრიგადის პოლკები და იმისა არტილერია თავიანთ პოზიციებზე იმავ ბრწყინვალე მდგომარეობაში დადიან, როგორც მუდამ წარუდგებოდნენ ხოლმე უფროსებს. დარწმუნებული ვარ, რომ ეს პოლკები სახელოვნად დაიცვენ რკინის ბრიგადის ძველ ტრადიციებს. ნიკოლოზ“. უმაღლესი დეპეშა გაეგზავნა გენ. ლინევიჩის შემდეგის დეპეშის პასუხად: „23 მარტს დავათვალიერე მეოთხე მსროლელთა რკინის ბრიგადის პოლკები და იმის არტილერია, თავიანთ პოზიციებზე მიმავალი. ბედნიერი ვარ მოვახსენო თქვენს უდიდებულესობას, რომ ბრიგადა ბრწყინვალე მდგომარეობაშია და გულმხურვალედ ჰსურს თავის მამა-პაპის სახელი დაიცვასო.

მის იმპერატორებით უდიდებულესობის დეპეშა გენ.-ადიუტანტ კუროპატკინისადმი, 26 მარტის თარიღით: „გულწრფელად [illegible] იმ გრძნობებმა, რომელიც მე და ჩემს სახლობას გამოუცხადეს მეთერთმეტე და მეთორმეტე ციმბირის პოლკებმა სახელოვან მსროლელთ. გულითად მადლობას გიცხადებ. სიამოვნებით მოვისმინე, რომ მანჯურიის პირველ არმიის ჯარი მტკიცედ დარწმუნებულია, რომ მამაცურად გაიმარჯვებს და სძლევს მტერს. ნიკოლოზ“. უმაღლესი დეპეშა გაეგზავნა გენ. კუროპატკინის შემდეგის უქვეშევრდომილესი დეპეშის პასუხად: აღმოსავლეთ ციმბირის მე-11 და მე-12 მსროლელთა პოლკებმა 25 მარტს თავიანთი პოლკის დღესასწაული იუქმეს და თქვენის იმპერატორებით უდიდებულესობის ხელმწიფე-დედოფლების და მეთორმეტე პოლკის უავგუსტოეს შეფის მემკვიდრე ცესარევიჩის ჯანმრთელობისა და დღეგრძელობისათვის გულწრფელად ილოცეს. ამასთანავე უქვეშევრდომილესად მოგახსენებ თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას, რომ მე-11 და მე-12 პოლკების ყველა უფროსმა და ოფიცერმა, აგრეთვე მთელის მე-3 ციმბირის კორპუსისამ დღეს პარაკლისის შემდეგ მთხოვეს თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას გადმოვცე იმათი მტკიცე რწმენა, რომ მტერი უსათუოდ დამარცხებულ იქნება, თუ ჩვენ ამისათვის საჭირო დროს მოგვცემენ. ვბედავ მოგახსენოთ, რომ ეს რწმენა ძლიერია მანჯურიის პირველ არმიის სხვა კორპუსებშიაც“.

სტამბოლი. იმ სესხის გარდა, რომელიც საფრანგეთში უნდა აიღონ, უკვე აიღეს სესხი გერმანიაში, 62 მილიონი ფრანკი. ამ თანხის ნახევარს კრუპს მისცემენ დაკვეთილ საარტილერიო მასალისათვის. სულთანმა უკვე ხელი მოაწერა ბძანებას, რომლითაც დამტკიცებულია უკანასკნელი სესხი. ცენზურამ ინსტრუქცია მისცა პრესას, გამოაცხადოს უკმაყოფილება ბოლგარიის მთავრობის მოქმედების შესახებ, რომელმაც თითქოს ნება დართო შეიარაღებულ მეამბოხეთ შესულიყვნენ მაკედონიაში. პორტამ მიიღო სახელმწიფოების ნოტა, რომლითაც პროტესტია გამოცხადებული კრიტის მართვა-გამგეობის სისტემაში რაიმე ცვლილების შეტანის წინააღმდეგ. ფიქრობენ, რომ მეამბოხენი დაკმაყოფილდებიან მცირე საადმინისტრაციო რეფორმებით.

პარიზი. შეთქმულობის შესახებ ახალი არაფერი არის. პოლიცია განაგრძობს ძებნას. პრინცი ვიქტორ—ნაპოლეონი ბრიუსელში იმყოფება და განაცხადა, რომ მას არავითარი წილი არ უდევს ამ შეთქმულობაში და თვლის მას დიდ მისტიფიკაციად. კარგ წყაროებიდან გაიგეს, მეფე ედუარდი ტანჟერში მივა. დელკასემ უპასუხა მაროკოს შესახებ შეკითხვაზე, „საზოგადო აზრი ასეთია, რომ საფრანგეთის შეთანხმებას ახალ გარანტიათ სთვლიდნენ მაროკოში წესიერებისა და უშიშობის განსამტკიცებლად, ისეთ გარანტიათ, რომელიც ერთნაირად იცავდა ყველას ინტერესებს. როცა საფრანგეთს მოლაპარაკება ჰქონდა მაროკოში, მას სახეში ჰქონდა მარტოოდენ საზოგადო საზღვარი, ზარალი და მსხვერპლი, რომელნიც მაროკოს ახლოს ადგილებში მუდმივ ღელვის შედეგია, სულთანის უღონობა და მისი თხოვნა დახმარებას და რჩევებზეო. ჩვენ არ ავჩქარდებით და დამშვიდებით განვაგრძობთ ჩვენის მიზნის შესრულების საქმეს და არ დავარღვევთ სხვების ინტერესებსო.“ დელკასეს სიტყვის შემდეგ ჟორესმა განაცხადა, გადავდებ ჩემს შეკითხვას და დასძინა, სახეში მაქვს შემდეგისთვის კამათი გავმართო საგარეო პოლიტიკის შესახებ. ინციდენტი გათავდა.

ბერლინი. 26 მარტი. „ფოსიშე ცაიტუნგ“-ს აუწყებენ ტანჟერიდან, სულთანმა ნება დართო ფორმალურ შეთანხმებით გერმანიის გემებს იარონ ტანჟერის პორტში.

მოსკოვი, 26 მარტი. დღეს სხდომა ჰქონდა საპედაგოგო საზოგადოებას. ოცი გამოჩენილი პროფესორი გამოვიდა ხსენებულ საზოგადოებიდან.

პარიზი. ბრესტის ქალაქის სამმართველომ, რომელიც სოციალისტურ პარტიას ეკუთვნის და არ თანაუგრძნობს საფრანგეთ-რუსეთის კავშირის იდეას, გადასწყვიტა არა-ჩვეულებრივი სადღესასწაულო შეხვედრა გაუმართოს ინგლისის ესკადრას, რომელსაც მეთაურობს პრინცი ლუი ბატენბერგელი.—გიბრალტარში ინგლისის მოხელეებმა სასტიკი ზომები მიიღეს გერმანიის იმ აფიცრების ცხობის-მოყვარეობის წინააღმდეგ, რომელნაც ვილჰელმის მისვლის წინად მივიდნენ იქ. ლუბემ სასამზარეულო გამოფენაზე მასდამი მიმართულ სიტყვაზე გაცემულ პასუხში მიახვედრა დასწრენი, რომ ის დაიღალა და აღარ ჰსურს არჩეულ იქმნას კიდევ პრეზიდენტად, მაგრამ ამასთან დასძინა, რომ, იმ შემთხვევაში, თუ რაიმე პოლიტიკური გართულება მოხდა ანა და შეთქმულობა აღმოჩნდა, როგორც ახლა იყო, მაგალითად, ის მზადაა შესწიროს თავისი დასვენება საქმეს და არ დასტოვებს თავისს თანამდებობას.

ჟურნალ გაზეთებიდან

შუა მანჯურიაში. 27 და 28 მარტს დილით დეპეშებს საყურადღებო ცნობა არა მოუტანიათ-რა სამხედრო მოქმედების ვითარებაზე.

„ეკლ ბლაზ“-ის სამხედრო მიმომხილველი სწერს: „უკანასკნელ დეპეშებიდან სჩანს, რომ რუსის ჯარი შემდგარა და იაპონიის ჯარიც წინანდებურად აღარა სდევნის. რუსის სარდლები, ეტყობა, გირინ-ტალჩაუ-ბოდუნესთან აპირებენ გამაგრებას. იაპონიის მოწინავე ჯარი ეხლა განგებ ისე იქცევა, თითქო დაიღალაო. რუსის მთავარ-შტაბსაც სჯერა ეს ამბავი და, ეტყობა, კიდევ დიდის შეცდომის ჩადენას აპირობს. მარშალი ოიამა, ჩვენის აზრით, ამ ჟამად ცდილობს, რუსები დაარწმუნოს, რომ იმათი მდგომარეობა გაუმჯობესდა და არავითარი შიში აღარ მოელით. ამავე დროს მარშალი ოიამა კარგად მოემზადება და თავის მოპირდაპირეს მოულოდნელად ისეთსავე მეხს დასცემს, როგორიც მუკდენთან დასცა. თუ რუსები თავიანთ პოზიციებს დროზე არ დასტოვებენ, იაპონელები უსათუოდ გვერდიდან მოუვლიან რუსის ჯარს. სხვა რომ არა ვთქვათ, ისიც საკმაოა, რომ იაპონიის განაპირა მარცხენა ფრთა (გენ. კავამურას არმია) პირდაპირ გირინისაკენ მიდისო“.

„ტაიმს“-ის კორესპონდენტი იუწყება: გენ. კავამურის არმია მალე დაიჭერს გირინსაო. („ო. ნ.“).

რუსისა და იაპონიის ფლოტი სინგაპურთან. ადმ. როჟესტვენსკის ესკადრა 25 მარტს სინგაპურთან მისულა, იაპონიის სუბუქ კრეისერების ესკადრაც ადმირალ დევას უფროსობით იქვე დახვედრია. საზღვარგარედ ჰფიქრობენ, მალე აუცილებლად ბრძოლა მოხდებაო. ზოგი ჰფიქრობს, ადმ. ტოგო უფრო ჩრდილოეთით, იაპონიის ახლო შეებრძოლება რუსის ფლოტსაო.

საზღვარ-გარედ, მეტადრე ინგლისსა და ამერიკაში მოუთმენლად ელიან ფლოტის ბრძოლას და ჰფიქრობენ, ეს ბრძოლა ერთის დაკვრით სამუდამოდ გადასწყვეტს საზღვაო ომის ბედსაო. „სტანდარდ“-ი სწერს: „ბევრს იმედი აქვს ადმ. როჟესტვენსკის გამარჯვებისა, მაგრამ ეს ტყუილი იმედია. რასაკვირველია, ხანდახან მოულოდნელი და დაუჯერებელი ამბავიც მოხდება ხოლმე, მაგრამ თუ წარსულ ისტორიას გავიხსენებთ, არავითარი ეჭვი აღარ დაგვრჩება, რომ ადმირალ ტოგოს შეხვედრა რუსის ფლოტთან უბედურად უნდა დასრულდეს რუსეთისათვის“. („ო. ნ.“).

საუბარი რუსეთის სამხედრო მინისტრთან. „რუს“-ის თანამშრომელს რუსეთის სამხედრო მინისტრ გენ. სახაროვთან ომის საქმეებზე უსაუბრნია. მინისტრს, სხვათა შორის, უთქვამს.

ტყუილია ის ხმა, ვითომ სამხედრო მინისტრის თანამდებობას თავს ვანებებდე. ვერ გეტყვით, რა ზარალი მოუვიდა რუსის ჯარს მუკდენთან. „ჩვენის სარდლის მოხსენებიდან გამოდიოდა, რომ რუსის ჯარი იაპონიის ჯარზე სუსტი არ იყო. ყველანი ერთხმად ამბობენ, ჩვენ ჯარს მტკიცე იმედი ჰქონდა გამარჯვებისაო. ჩვენ გვეუბნებოდნენ, მუკდენთან მტრის გამაგრებულ პოზიციებზე იერიშის მიტანა უდიდ-მსხვერპლოდ შეუძლებელია და ვინც პირველი მიიტანს იერიშს მოპირდაპირის სიმაგრეებზე, შეიძლება დიდი ზარალი მოუვიდეს და დამარცხდესო. ამიტომ ჩვენ უმჯობესად მიგვაჩნდა, რისკი არ გაგვეწია. ბოლოს იაპონელებმა პირველმა მიიტანეს ჩვენზე იერიში, დიდი ზარალიც მოუვიდათ, მაგრამ ჩვენდა გასაკვირველად, არა თუ არ დამარცხდნენ, პირიქით, ჩვენ დაგვამარცხეს. თუ მართლა რუსის არმიის რიცხვი და იაპონიისა თანასწორი იყო, თუ ჩვენი სალდათი ისეთი გულადი მეომარია, რომ 14 დღის განმავლობაში იაპონელების მედგარ იერიშს გაუძლო და პოზიციები მხოლოდ მიღებულ ბრძანებისამებრ მიატოვა, თუ ჩვენი არტილერია არა თუ ნაკლები არაა, სჯობია კიდევაც იაპონიისას, მაშასადამე ერთად ერთი დასკვნა გამოდის: ჩვენი სამხედრო ხელოვნება ნაკლებია იაპონიისაზე. მაგრამ ამით მე არავის ბრალსა არა ვსდებ, მხოლოდ ფაქტს აღვნიშნავ. უნდა მოვახსენოთ, რომ დიდი ხანია მწამებენ, ვითომ გენ. კუროპატკინის მტერი ვიყო. ამისთანა ჭორები პასუხის გაცემის ღირსიც არაა. წინად მე და კუროპატკინი ერთად ვმსახურობდით, იქნება ზოგიერთ საქმეში არ ვითანხმებოდით ერთმანეთს, მაგრამ გადაკიდებული და გადამტერებული არას დროს არა ვყოფილვართ. განა გადაკიდებულნიც ვყოფილიყავით, განა მე, როგორც წმინდა რუსი, ამისთანა გაჭირვების ჟამს დაუწყებდი ჯავრის ამოყრას? რაც კი შემეძლო, სამხედრო სამინისტრო ყველაფერს დაუყონებლივ ასრულებდა. რაც კი საჭიროა არმიისათვის, ყველაფერს ვუგზავნიდით: ჯარსა, სამხედრო სურსათსა, ზარბაზნებსა და სხვას. გენ. კუროპატკინის ყველა მოთხოვნას დაუყოვნებლივ ვასრულებდით, თუმცა ეს ხანდახან მეტად ძნელი იყო ჩვენთვის. არა თუ მარტო სამხედრო სამინისტრო, დანარჩენი სამინისტროებიც დიდ დახმარებას გვიწევდნენ... უმთავრესად იმ ბრალსა მდებენ, რომ მანჯურიაში სარეზერვო ჯარსა გზავნიდი, ესე იგი მდარე, მეორე ხარისხოვან ჯარსა; აქ თავდაპირველად უნდა შევნიშნო, რომ მობილიზაციის პლანი ჩემი შედგენილი არაა და როცა სამინისტროს მართვას შევუდექი, ეს პლანიც მზად დამტკიცებული დამიხვდა. პირიქით, მას აქეთ, რაც სამხედრო სამინისტროს მეთაურად გავხდი, მანჯურიაში მხოლოდ ერთი სარეზერვო დივიზია გავგზავნე, დანარჩენი კი სულ მომქმედი, საველე ჯარი იგზავნებოდა. ყველა ციმბირელთა პოლკიც გავგზავნე; უნდა იცოდეთ, რომ ეს პოლკები გვარდიის პოლკებს არ დაუვარდებიან. ამას გარდა, სხვათა შორის, განთქმული, სახელოვანი დივიზიებიც გავგზავნეთ: გენ. დრაგომიროვის განთქმული დივიზია და მრისხანე მე-9 დივიზია. სარეზერვო ჯარს მხოლოდ პირველ ხანში ვგზავნიდით, როდესაც ჯერ არ ვიცოდით, ევროპაშიაც ომი ასტყდებოდა, თუ არა. მომავალში იმედი გვაქვს, საიადარიგო სალდათების მოწვევა არ დაგვჭირდეს, რადგან წინანდელ მობილიზაციიდანაც ბევრი ჯარი დაგვრჩა, ამას გარდა ახლად გაწვეული სალდათებიც მალე ჩადგებიან მწკრივში.

ნაციონალიზმი, როგორც სიყვარული

ნაციონალიზმი, როგორც სიყვარული! დიახ და სხვა არავითარი საფუძველი არა აქვს ნაციონალიზმს, ეროვნებას, თუ არა სიყვარული. სიყვარული, სიმპატია, თანაგრძნობა თავისიანებისადმი, თავის ერისადმი, ამ ერის წევრებისადმი,—მხოლოდ ეს ჰქმნის ეროვნებას, ეროვნულ გრძნობებს, ეროვნულ პრინციპს, რომელიც მოითხოვს ერისათვის, როგორც თავისებურ, განსხვავებულ საზოგადოებისათვის, დამოუკიდებლობას და ავტონომიას. ჩვენ გვიყვარს ჩვენი სამშობლო და ჩვენი ერი, და ეს სიყვარული იმგვარადვე სტიქიური და ბუნებრივი, როგორც სიყვარული დედისა შვილისადმი, სიყვარული მეგობრისადმი, თანამოაზრესადმი. ჩვენ გვიყვარს ჩვენი ერი, რატომ? იმიტომ, რომ ჩვენი ერის შვილები უფრო ახლონი არიან ჩვენთვის, უფრო გვენათესავებიან, უფრო გვგვანან, ვიდრე სხვა ერის ადამიანები; მათი სულის აგებულება უფრო გვენათესავება ჩვენ, ერთნაირი სისხლი სჩქეფს ყველაში, ერთნაირმა წარსულმა წარმოგვშვა და ერთმა ბუნებამ აგვზარდა ყველანი. გვიყვარს ჩვენი ერი, როგორც გვიყვარს ჩვენი თავი, გვიყვარს ჩვენი ერის შვილები, რადგან გვემსგავსებიან თავის აზრებით და გრძნობებით, რადგან მათში ვხედავთ ჩვენ თავს, ჩვენი პიროვნების გაფართოებას.

ნაციონალიზმს, ეროვნულს სიყვარულს ჰქმნის მხოლოდ ისტორია და სადაც არ არის საერთო ისტორია, იქ არ არის ერიც. საერთო წარსული, საერთო სიხარული, ბედნიერება, მაგრამ განსაკუთრებით საერთო მწუხარება, გაჭირვება და უბედურება აერთებს ადამიანებს, ანათესავებს და აკავშირებს მათ. ერთად ვიტანჯებოდით, ვიჩაგრებოდით, ერთად ვიბრძოდით, ერთად მოვიპოვეთ ის, რაც დღესა გვაქვს და გვინდა, ერთად ვიბრძოლოთ, ვიშრომოთ და ვიცხოვროთ მომავალშიაც. საერთო წარსული, საერთო აწმყო და მომავალი,—აი აუცილებელი გზა ერის ცხოვრებისა.

ეროვნული სიყვარული არის გაფართოვება სიყვარულისა საკუთარის თავისა, ოჯახისადმი და ძლიერი საზოგადოებრივი ძალაა და მის აუცილებელ თვისებას არ შეადგენს სიძულვილი სხვა ერისადმი. განა რომ მიყვარს ჩემი თავი, უნდა მძულდეს სხვა? დედას რომ უყვარს თავისი შვილი, უნდა სძულდეს სხვისი შვილი? შემცდარია ის აზრი, რომ ეროვნული სიყვარული მხოლოდ უკან, წარსულისაკენ იცქირება. არ იყო რეტროგრადიული და კონსერვატიული ბერძენთა, ბოლგარელთა, რუმინთა, პოლონელთა, ირლანდიელთა ეროვნული მოძრაობა! ჩვენ გვიყვარს ჩვენი ერი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გვიყვარს ერთს წერტილზე გაჩერებული, გაყინული, მხოლოდ დღევანდელი ერი. ერს არ შეადგენენ მხოლოდ ისინი, რომლებიც დღეს ცხოვრობენ, ერის წევრები არიან მკვდრები და მომავალი შვილებიც. თუ გვიყვარს ერი, სწორედ ეს სიყვარული გვაიძულებს, ვიზრუნოთ ერის ამაღლებისა, გაკეთილშობილებისა და უკეთეს მომავლისათვის. ყოველი სიყვარულის გარყვნა შეიძლება, როგორც ეროვნული სიყვარულისა. ყველა დედას უყვარს შვილი, მაგრამ არის დედა, რომელიც ყოველგვარ სიგლახეს ასწავლის შვილს, არის დედა, რომელიც საუკეთესო აღმზრდელია შვილისა.

არა, ნაციონალიზმი მხოლოდ სიყვარულია, რომელსაც ჰქმნის საერთო ისტორია, და ეს სიყვარული თავისთავად დიდი კულტურული ძალაა. წარვუძღვაროთ მას წინ განათლებული გონება და გული და მოვიახლოვებთ უფრო მაღალ სიყვარულს მთელი კაცობრიობისადმი.

კალამი

სოფლად

სოფ. მარტყოფი (ტფილისის მაზრა). აქაც იჩინა თავი გლეხთა მოძრაობამ. 24 მარტს ვაიმართა გლეხთა ყრილობა. მარტყოფი დიდი სოფელია, 800 კომლ მცხოვრებს შეიცავს. გლეხებმა ზარიდით გაიარეს სოფელი, გაუარეს ადგილობრივ სამინისტრო სკოლას, ქსენონს, კანცელარიას და ყველგან ჩალეწეს შუშები, არყის ქვაბები გამოიტანეს და აქციზის ბეჭდები ააცალეს. მამასახლისმა აცნობა მაზრის უფროსს თ-დ ლ. გ. ჯანდიერს, რომელიც იმ ჟამად სოფ. ხაშმში მოსულიყო გლეხთა დასამშვიდებლად. მაზრის უფროსიც მოვიდა 25 მარტს და ჩამოხტა სასოფლო კანცელარიაში, სადაც ათას კაცამდის გლეხობას მოეყარა თავი. გლეხებმა გადასცეს მაზრის უფროსს მოთხოვნილება, რომელიც ათ მუხლს შეიცავს. გლეხები თხოულობენ, სხვათა შორის, წეს-წყობილების შეცვლას, ტყის დათმობას, აქციზის მოსპობას. ადგილის სიმცირის შესახებ სწერენ: „ჩვენ 800 კომლ გლეხკაცობასაც არა გვყოფნის ადგილი და იმის შოვნას და ძებნაში ძალი გვაქვს დამფრთხალი. მთავრობამ კი ჩამოგვაცალა კარგი ადგილები და საიჯაროდ გახადაო.“ თხოულობენ აგრეთვე უფასო სავალდებულოს; სამღვდელოებას მოესპოს დრამის ფული და დაწესდეს: ჯვარის საწერადა—3 მანეთი, დასამარხი—1 მანეთი და ნათლობა—40 კაპ. გარდა ამისა ერთი მღვდლის გადაყვანა ითხოვა ყრილობამ. სკოლის შესახებ გლეხები სწერენ: ჩვენ სოფელში უხსოვარ დროიდან არსებობს სამინისტრო სკოლა და მის ნაყოფს ვერავინ ვერა ვხედავთ. ზარალი კი დიდია. ხან ქართულ ენის უცოდინარ მასწავლებელს დაგვინიშნავენ, რომელიც შუა წელიწადში მობრძანდებოდა, ხან ლოთ მასწავლებელ ქალს გამოგვიგზავნიდნენ, რომელიც დუქან-დუქან დადიოდა და ლოთობის მეტს არას აკეთებდა. ეხლა კი აი ამ სამოსწავლო წლიდან აღარ გახსნილა, სკოლა რადგან მთავრობამ გვითხრა შესაკეთებელი ფული არ არისო და სკოლაში წვიმა ჩამოდისო. ჩვენი ჩვენი შვილები კი უსწავლელები დარბიან, თუმცა ჩვენ ისევ ვიხდით სკოლის ფულს. ჩვენ ვთხოულობთ ისეთ სკოლას, სადაც სწავლება ქართულ ენაზე იყოს დაყენებული, სახელოსნო- და სამეურნეო განყოფილებებით და სწავლაც უფასოდ იყოს. ამ სკოლაში კურს დამთავრებულთ ნება უნდა მიეცეთ უეგზამენოდ გადავიდნენ სხვა მაღალ სასწავლებელში.

კახეთი. კახეთში სულ ბოლო დროს დაიწყო მოძრაობა. ახლა თითქმის ერთბაშად გაიღვიძა ხალხმა. პირველად წინანდალს, საუფლისწულო მამულში, დღიურმა მუშებმა სამუშაოს თავი მიანებეს და ორ დღეს არ მისულან. მაგრამ გაჭირვებამ და შიმშილმა თავისი ქნა და შემდეგ გამოცხადდნენ. ქირა ათი შაური გაუხადეს, ზამთარში ორი აბაზი ჰქონდათ. ერთი მუშა დაითხოვეს. ამის შემდეგ სარდაფის მუშებმა შემდეგი მოთხოვნილებანი წარუდგინეს უფროსებს: სამუშაო ქირის მომატება. მომეტის 25% ჯამაგირისა; რვა საათის სამუშაო დღე (აქამდის ცხრა საათი იყო). უფასო სადგომი, შეშა და ნავთი; მოსპობა იმ თვიურ გადასახადისა, რომელიც წითელი ჯვრისათვის იკრიბება; სახელმწიფო ექიმობა და წამლები, რამდენიც საჭირო იქნება; საუფლისწულო უწყების სასწავლებელში, სადაც მუშების შვილებს ასწავლიან, იყოს შემოღებული ქართული ენის სწავლება. ამის პასუხად უფროსებისაგან შემდეგი მიიღეს: ის, რის გადაწყვეტა ჩვენ შეგვიძლიან, ახლავე აგისრულებთ, რისაც არა, ახლავე ვაცნობებთ, სადაც საჭიროა. ხალხი ჯერ-ჯერობით განაგრძობს მუშაობას. ამას გარდა ენისელში, ალაზნის პირცხენა მხარეს, მოიყარეს გლეხებმა თავი, შეადგინეს მოთხოვნილებანი, შემდეგ დადიოდნენ სოფელ-სოფელ და ხელს აწერინებდნენ მემამულეებს. ამ დროს ვაჩნაძიანის და ურიათუბნის გლეხებიც ამოძრავდნენ და მოითხოვეს ის, რასაც გურიაში თხოულობენ გლეხები. ვაჩნაძიანს გაიგზავნა ერთი როტა სალდათები. **ტ. ვარძიელი**

ყვარელი (კახეთი). რაც ომი დაიწყო, მას შემდეგ გაზეთების კითხვა ძლიერ შეუყვარდათ გლეხებს. ყოველ საღამოობით, როდესაც დილიჟანსებით თელავიდან ფოსტა მოდის, გლეხობა იკრიბება და დიდის გულმოდგინებით ყურს უგდებს ომის ამბებს. (მეტადრე ამ ბოლოს დროს უფრო შეუყვარდა გლეხობას გაზეთების კითხვა, რაც გაზეთებმა გურიის მოძრაობის ამბები ვაუწყეს(გურიის ამბებმა ძლიერ დააინტერესა გლეხობა. „ჩვენც იმ ტაფაში ვიწვით, რომელშიც გურულებიო“, ხშირად გაიძახიან გლეხები. „გაზაფხულის“ სიომ აქაც დაჰბერა, გლეხობა აზმაურდა; შეიგნო, რომ ძველებური, ჩაკეტილი ცხოვრება აღარ შეიძლება. 22 მარტს, გლეხებმა, დაახლოვებით 800 კაცამდე, თავი მოიყარეს სასოფლო სასამართლოსთან და მსჯელობა ჰქონდათ თავიანთ საჭიროებებზე. დაიბარეს ადგილობრივი მღვდელი და ფიცი დასდეს, რომ თავიანთ შორის მოსპონ ავაზაკობა, ჯაშუშობა და დაამყარონ ერთობა და ძმობა. საზოგადოებამ შეიმუშავა მოთხოვნილება: მოისპოს წოდებრივი, ეროვნული და სარწმუნოებრივი გარჩევანი და ყველანი უფლებრივ გათანასწორებულ იქმნენ კანონის წინაშე; მიეცეს სოფლის საზოგადოებას ნება წარუდგინოს სასულიერო მართებლობას სამღვდელ-მომქმედო პირთა კანდიდატები: უკანასკნელთ დამტკიცება დამოკიდებული იყოს ურთი-ერთ შორის თანხმობით; პირველ დაწყებითი სწავლა 15

ფელეტონი

კახეთი 1812 წ.

ისტორიული ამბავი

III

მართალია, ჩარევით ჩაითრია და გააბა გენერალმა სტალმა მარკიზი პაულუჩჩი ბოროტების ქსელში, მაგრამ, როგორც საქმის ვითარება გვიჩვენებს, მარკიზს სავსებით არ შეუწყნარებია სტალის დაბეზღება. როგორღაც გული ეთანადრებოდა და ჰსურდა დანამდვილებით გაეგო ყველაფრის მიზეზი. დიდი კვლევა-ძიება არ იყო საჭირო გამოსაცნობად, ამას ყველა ჰხედავდა. მარკიზს უნდოდა შეეტყო, მართლა ურჩობით და ჯიუტობით მისდიოდა კახელობას, თუ რომ არ იძლეოდა, თუ სხვა რამ დარდიც აწუხებდა. მარკიზმა ისიც კარგად იცოდა, რომ ბატონიშვილები აღელვებდნენ ქართველობას, რომ სამაზრო და სათემო სამსჯავროები ხალხში უკმაყოფილების მეტს არას იწვევდა. დიახ, იცოდა ესა და მეცადინეობას არ იშურებდა, როგორმე თავიდან აეცილებინა სახიფათო მიზეზი. განჩენებული მიწერ-მოწერა ჰქონდა პაულუჩჩის ბატონიშვილ ალექსანდრეს ხელში ჩასაგდებად. მოსვენებით მაშინ მოისვენებდა, ხელში რომ ეგდო ეს დაუძინებელი მტერი რუსეთის მართვა-გამგეობისა და სხვა ბატონიშვილებივით გაესტუმრებინა რუსეთში. ვიდრე ალექსანდრეს გაბაწრავდა, მარკიზი მხნედ შეუდგა სასამართლოს რიგიანად მოწყობას. გააუქმა თელავისა და სიღნაღის სამაზრო და სათემო სამსჯავრონი და დააწესა დროებით სამსაჯულო, სადაც სამოქალაქო საქმეები ირჩეოდა ვახტანგ VI-ს კანონების ძალით. სიღნაღის სამსაჯულოს თავმჯდომარედ დანიშნა მაიორი თ. ივანე თრბელიანი, წევრებად სამი ადგილობრივი თავადიშვილი, თელავის სამსაჯულოს თავმჯდომარედ კი მაიორი შალიკოვი, თელავის ციხის კომენდანტი და წევრებად აქაც სამი თავადიშვილი. აზრი და სურვილი მარკიზისა ის იყო, რომ სამართალი მკვიდრის ხელში ყოფილიყო, ხოლო თავმჯდომარედ სამსჯავროისა—უსათუოდ რუსის მოხელე. სამსჯავროს გადაწყვეტილება ასრულებაში მოჰყავდათ თელავისა და სიღნაღის მაზრათა მარშლებს, ან მოურავებს, თელავში თავად სოლომონ ავალიშვილს და სიღნაღში თ. იოსებ მელქისედეკის ძე ანდრონიკაშვილს.

ასე მოქმედობდა და იღვწოდა მარკიზი, მაგრამ მაინც გული-გულის ალაგას არ ებუდებოდა. მაშინდელ რუსის მოხელის ხელში გავლილი სამართალი, ბატონიშვილ ალექსანდრეს „ინტრიგები“ და გენერალ პორტნიაგინის უფროსობით მასეული საექზეკუციო კამანდება ვის არ აღელვებდა და გაა[illegible]გულებდა, მაგრამ მარკიზის თვალში არც ამას ჰქონდა ჯეროვანი ფასი. პაულუჩჩის ჰსურდა შეეტყო „პირდაპირი მიზეზი განვლილის ამბოხებასა, რომ შემდეგ ეღონა საჭირო ღონისძიება ბოროტების აღმოსაფხვრელად და საუკეთესო მართვა-გამგეობის დასამყარებლად საქართველოში“27).

პაულუჩჩი თითქმის ყველაფერში ჰბაძავდა თ. პ. დ. ციციშვილს და იმისავით ფიცხად მოახსენებს იმპერატორ ალექსანდრე პირველს: თუ ნამდვილად გსურთ და თქვენი კეთილი ნებაა, რომ საქართველო სამუდამოდ რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში დარჩეს, მაშინ უქვეშევრდომილესად გემუდარებით, მალე და დაუყოვნებლივ ამისრულოთ ხოლმე მოხსენებანი და მომცეთ სახსარი ქვეყნის საკეთილდღეოდ, თორემ მინისტრებთან მიწერ-მოწერაში საქმე ჭიანურდება და ვერარას ვკეთებთ 28).

თ. ციციშვილსავით მარკიზმა დააარსა საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორ მალინსკის თავმჯდომარეობით განსაკუთრებული კომისია ასეთის სახელწოდებით: საქართველოში მომხდარ აჯანყების მიზეზთა გამოკვლევა.—კომისიის წევრებად დაინიშნენ: სახაზინო ექსპედიციის უფროსი ვასილიევი, აღმასრულებელ ექსპედიციის მრჩეველი სტატსკი სოვეტნიკი ფალავანდიშვილი, მრჩეველი სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეთა ექსპედიციისა (Экспедиція суда и расправы) თ. ზურაბ ორბელიანი; თ. სულხან, ან ეგნატე თუმანიშვილი თავმჯდომარის ამორჩევით, თელავისა, სიღნაღისა, გორისა და ანანურის მარშლები. კომისიის მდივნობა დაავალეს სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეთა ექსპედიციის მრჩეველს იანიშევსკის.

მარკიზს ძლიან ეჩქარებოდა ამბოხების მიზეზთა გამოკვლევა და საქმის დაბოლოვება. პეტერბურგს აპირებდა წასვლას სამსახურის კამო და თან უნდოდა წაეღო კომისიის დასკვნა და პირადად მოეხსენებინა იმპერატორისათვის ამბოხების ყოველი წვლილი. ადვილი გასაგებია ასეთი სურვილი პაულუჩჩისა. ამ დროს რუსეთი გაფაციცებით ემზადებოდა საეროვნო ომისათვის ნაპოლეონთან და მარკიზს ენატრებოდა გაეხარებინა იმპერატორი სასიამოვნო ამბით—ამბოხების ცეცხლი უებად ჩავაქრე, საშიში აღარაფერია და მხედრობის დარდი სულარა გაქვთო.

კომისია შეუდგა მოქმედებას 13 მარტს 1812 წ. დიდი მასალა შეკრიფილი კომისიას მიერ. განსაკუთრებულის ყურადღების ღირსია მოხსენებანი ბოდბისხეველთა, მარზანელთა და პრიანელებისა. მართალა, გულწრფელად უამბობენ ქიზიყელები სიღნაღის მოურავს თ. ი. მ. ანდრონიკაშვილს თავიანთ მწუხარება-გაჭირვებას. სამივე მოხსენება ძლიერა ჰგავს ერთი მეორეს, მაგრამ ჩვენ მაინც თითქმის უცვლელად მოვიყვანთ სამთავეს. სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ დედანი მოხსენებისა არაა დაბეჭდილი აქტებში, თარგმანი-კი ძველია და უვარგისი, ზოგგან ისე ბუნდოვანადაა ნათარგმნი, რომ სწორედ გვიჭირდება აზრის გაგება.

ვრცლად მოვიყვანთ აგრეთვე მიტროპოლიტ იოანნე ბოდბელის მოხსენებას, სტეფანე რუსთველ არქიეპისკოპოზისას, თავად თამაზ ორბელიანისას, თელაველ მეამბოხეთა წერილს და სხვა წერილ-მოხსენებანი სარკესავით დაგვანახვებს კახეთის ვითარებას 1812 წ.

მთავარ-მართებლის ბრძანებით გვეკითხებით,—მოახსენებენ ბოდბისხეველები თავიანთ მოურავს თ. იოსებ ანდრონიკაშვილს,—თუ რამ გვაიძულა გვეღალატნა ხელმწიფისათვის და აჯანყება მოგვეხდინაო. ღალატი გულში არ გაგვივლია, მაგრამ ცამეტი წლის განმავლობაში რაც ხელმწიფემ ღირსი გაგვხადა მფარველობისა, სული ამოგვხადა უსამართლობამ. ამგვარი უღვთოობა და უბედურობა არ გამოგვიცდია ლეკთა, ყიზილბაშთა და ოსმალთა ბატონობის დროსაც-კი. ვითმენდით, ვიტანდით თავზე მოვლენილ ჭირს, რადგან ერთგულობის ფიცი მივეცით ხელმწიფეს, მაგრამ როდესაც ხელიდან ცოლები წაგვგლიჯეს, ვეღარ მოვითმინეთ და ავიშალენით. რუსებმა მოსტაცეს ცოლი ბინობაშვილს, ორი კვირა ჰყავდათ ბოდბისხევში და შემდეგ დაითხოვეს. ბალიშვილსა და ხოპაშვილსაც წაართვეს ცოლები, თითო კვირა ჰყავდათ თავიანთთან და მერმე დაითხოვეს. ცოლთა გაუპატიურება და ნამუსის ახდა საკუთარის თვალით იხილეს ამ უბედურებმა. კანონი ხელმწიფისა ისეთია, რომ თუ მამა-კაცი რასმეს დააშავებს, სასჯელიც დამნაშავეს უნდა გადახდეს. ამის მაგიერ წავლებდნენ ხელს დედა-კაცებს, ჩახდიდნენ ნიფხვებს და ჯოხებით უკან ტანს უჭრელებდნენ.

ამ სიშორიდან გაგვრეკეს ურმებით ფოთში სურსათის საზიდავად. სულ თხუთმეტი ურემი იყო ჩვენი და ერთი ხარი აღარ დაგვბრუნებია ცოცხალი. ნახევარი მეურმეც გაწყდა ლაშქრობაში, ვინც დაბრუნდა, ისიც ვეღარ გამოდგა, რადგან სასტიკი ზამთრის გამო ხელ-ფეხი და ტანი დამძრალი ჰქონდათ.—საითაც-კი დაიძვროდა ხელმწიფის მხედრობა, ჩვენც უკან მივდევდით ურმებით, დაგვქონდა სურსათი ერევანს, კუმბრს, განჯასა და სხვაგან. გავდიოდით სადარაჯოდ და საომრად, ასე რომ თუ სალდათები ანთხევდნენ სისხლს, ჩვენც მათთან ვიღლოტებოდით. პური იყო ჩვენზე გაწერილი, კოდში ექვს აბაზს იძლეოდნენ. მარტო გადატანაში ვაძლევდით თითო მანეთსა, ასე რომ კოდზე აბაზი გვრჩებოდა, მაგრამ რადგან შიმშილობის გამო ჩვენი სამყოფიც არა გვქონდა, პურს სხვაგან ვყიდულობდით ოთხ მანეთად კოდსა.—ერთხელ სურსათს რომ აკრეფდნენ, მარტო 350 ქათამი მოგვტაცეს; პურს, ქერსა და ღვინოს ვინღა დასთვლის? გენერალ პორტნიაგინმა სოფელში ჯარი ჩაგვიყენა. ვიდრე თხუთმეტი ურემი ხორბალი არ გაუგზავნეთ, ჯარი არ მოგვაშორა. პურისა, ღვინისა, და საქონლის გარდა 4 ურემი ქერი დახარჯეს თვით სოფელშა. ძარცვა-გლეჯისა და ცემა-ტყეპის გარდა სული გაგვიმწარეს ქრთამების აღებით. ერთხელ კაპიტან-ისპრავნიკმა იასაულის პირით შემოგვითვალა,—ჩემთან ამოდითო. შეგვეშინდა და არ წავედით, რადგან ისპრავნიკი ბრალიანსა და უბრალოს არ არჩევდა, ყველას ფულს ახდევინებდა, ზოგს 20 მ., ზოგს 30 მ. შიშისაგან ერთი ვაქარელი კაცი სამუდამოდ სადღაც გადავარდა. ბოდბელ გოგია

წლამდე იყოს სავალდებულო, საყოველთაო და უფასო; ყველა საგნების სწავლა სწარმოებდეს სამშობლო ენაზედ; რუსული ენა ასწავლონ, როგორც სავალდებულო საგანი; სახაზინო და სათავადო ტყეებსა, მინდვრებსა და მთებში საძოვარი—უფასოდ; საჭირო შეშა, ჭიგო, ფიჩხი, როგორც სახაზინო, ისე სათავადო ტყეებიდან უფასოდ; ხაზინას, ეკკლესიებს და მონასტრებს ჩამოერთვას ადგილ-მამულები და გადაეცეს საზოგადოებას სათემო საკუთრებად; ნაყმევ გლეხებს მიეზომოს ახალი ნადელები უფასოდ, რომელიც სათემო საკუთრებაში გადავიდეს; ძველი მიცემული ნადელები განთავისუფლდეს უფასოდ; გაუქმდეს საავგუსტო მიწები და გადავიდეს სათემო საკუთრებად; მოისპოს აქციზი არაყზედ და სხვა არა პირდაპირი გადასახადები; სალდათები დატოვებულ იქნან თავიანთ გუბერნიებში; მიენიჭოს ხალხს კრების, გაფიცვის და სიტყვის თავისუფლება; ყარაულსა თუ ბეგარაში ყველა წოდებამ მიიღოს მონაწილეობა; მოისპოს საერობო დარაჯი; დაარსდეს ქსენონი სახელმწიფო ხარჯით; მოგვეცეს წიგნთსაცავ-სამკითხველოს გახსნის ნება მთავრობის ნებადაურთველად; მეოთხე მუხლის შესახებ დაინიშნოს კომისია (გლეხთა და თავადაზნაურთა წარმომადგენელთაგან შემდგარი), როგორ დააკმაყოფილონ ტყით და სხვ. ამ მოთხოვნილებაზე ხელი უწერია 600 გლეხს და აგრეთვე მემამულეებს. მოთხოვნილება უკვე გაეგზავნა კავკასიის უმაღლეს მთავრობას.

ვ. ც.

ახალი ამბავი

✦ ტფილისში ჩამოიყვანეს **ოზურგეთში დაპატიმრებულნი:** გ. ქილოშვილი, თ. კაკაბაძე, ს. ვაშაყმაძე, ი. საბაშვილი, ს. ლონტი, ა. წუწუნავა და თოფურია.

✦ პირველი კრება **„ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა საზოგადოების“** გამგეობისა მოხდება დღეს, 29 მარტს, საღამოს 8 საათზე „ტიფ. ლ.“-ს რედაქციაში. ამ დღეს არჩეულ იქნებიან თავმჯდომარე, ხაზინადარი და მდივანი. ამ კრებაზე იწვევენ როგორც გამგეობის წევრებს, ისე მათ კანდიდატებს.

✦ მკითხველებმა უკვე იციან, რომ ტფილისის **ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა ასოციაციამ** მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ დეპეშები გაუგზავნეს შინაგან საქმეთა მინისტრს, მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარეს და ზოგიერთ რედაქციას. თურმე ეს დეპეშა ტფილისშივე შეუჩერებიათ და აღარ გაუგზავნიათ. ამ ამბავმა მიაღწია ფოსტათა და ტელეგრაფთა მთავარ გამგეობის უფროსამდე, რომელმაც უკანონოდ სცნო დეპეშის შეჩერება. მინისტრმა და კომიტეტის თავმჯდომარემ უკვე მიიღეს დეპეშები, ხოლო რედაქციებმა არა, რადგან ცენზურას ნება არ მისცია.

✦ 27 მარტს, საღამოს 9 საათზე, ტფილისში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, ალიხანოვის საკანდიტეროში მოჰკლეს **პატრონი ამ საკანდიტეროსი არტემ ალიხანოვი.** საკანდიტეროში შესულა ორი უცნობი კაცი და მოუთხოვნია კამფეტი. როცა ალიხანოვს აწონილი კამფეტი მიუწოდებია, ერთს უკითხავს, რამდენი გერგებათო, თან ჩაუყვია ჯიბეში ხელი, ამოუღია რევოლვერი, დაუხლია და სასიკვდილოდ დაუჭრია. დაჭრილი მიხეილის სამკურნალოში გაჰგზავნეს, მაგრამ გზაში გარდაიცვალა. უცნობებმა დიდის მთავრის ქუჩაზე ჩაუხვიეს. ხმაურობაზე გაჩნდა პოლიცია. დააპატიმრეს ორი კაცი, რომელთაც განაცხადეს ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებნი ვართო. ერთია გვარად ესტატე ნიკოლაიშვილი, ხოლო მეორე ნოე თებზაძე, მკვლელობის მიზეზი, ამბობენ, ის არის, რომ ალიხანოვი მეტად ცუდად ეპყრობოდა მომუშავეებსაო.

✦ ამ დღეებში **გაიფიცნენ სარდაფების პიჭები.** თხოულობენ სამუშაო დღის შემცირებას და ჯამაგირების მომატებას და ამბობენ, ნესტიან სარდაფებში დილის 6 საათიდან ღამის 12 საათამდის გვიხდება მუშაობაო.

✦ 27 მარტს **დაიწყო მოქმედება ფუნიკულერმა.** როგორც სადგურები, ისე მთელი გზა მორთული იყო ბაირაღებით. პარაკლისის შემდეგ, რომელსაც დაესწრნენ ფუნიკულერის გამგეობა, ქალაქის მოურავი და გამგეობის წევრნი, ქალაქის მოურავმა გასჭრა ლენტი და გამოაცხადა ფუნიკულერის წესიერი მიმოსვლა დაწყებულად. შემდეგ ამისა სამღვდელოება და წარმომადგენელნი, რომელნიც პარაკლისს დაესწრნენ, ჩასხდნენ ვაგონში და ავიდნენ მთაზე. იქ მათ ორკესტრი დახვდათ. სამანქანო განყოფილების დათვალიერების შემდეგ სტუმრებს ფუნიკულერის გამგეობა გაუმასპინძლდა საუზმით. მთელ გზაზე 2 ვაგონი მუშაობს, თითოში 60 კაცი ეტევა და 5 წუთის განმავლობაში აჰყავს სადგურამდის. ასვლა ჩამოსვლა აბაზად ღირს.

✦ 283 **ტფილისელმა ვაჭარმა** გუშინ, 28 მარტს, განცხადება წარუდგინეს ტფილისის ქალაქის მოურავს. ვაჭრები სწერენ: პოლიციის მე-5 და მე-6 ნაწილებში მაღაზია-დუქნებს ვქირაობთ არა სახლის პატრონებისაგან, არამედ მოიჯარადრეთაგან, რომელნიც მეტად დიდ ფულს გვახდევინებენო. ვაჭრები სთხოვენ ქალაქის მოურავს, იღონოს რამე მოიჯარადრეთა ასალაგმავად.

✦ 24 მარტს ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსთან იყვნენ რკინის გზის **მომხმარებელ საზოგადოების რწმუნებულნი.** რწმუნებულთ სთხოვეს უფროსს, დახმარება გაუწიოს რკინის გზამ მომხმარებელ საზოგადოებას და, სხვათა შორის, მისცეს მოკლე ვადიანი სესხი. უფროსი დაჰპირდა სესხის მიცემას.

✦ 27 მარტს, ე. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით **მოხდა** კრება ტფ. საურთიერთო სასოფლო-სამეურნეო ბანკის წევრებისა. კრებამ განიხილა წარსულის წლის ანგარიში. საანგარიშო წელს მთელი წარმოება ბანკისა უდრის 11.711,302 მან. 30 კაპ., წინა საანგარიშო წელს გაუნაღდებიათ 605,632 მან. თამასუქი. სამეურნეო ნაწარმოებათა დაგირავებით სესხი გაუციათ 6804 მან. ნაკლები წასულ წელზე. კრებამ დაამტკიცა როგორც ანგარიში, ისე ხარჯთ-აღრიცხვა, ამასთან დაადგინა, 20% მოემატოს ბანკის მოსამსახურეთა ჯამაგირებს. დასასრულ, კრებამ აარჩია გამგეობის თავმჯდომარედ ისევ გ. ს. განზიელი, საბჭოს წევრებად, ნაცვლად თავ. ერისთავისა და გარდაცვლებულ თულაშვილისა, ა. თ. ყიფშიძე და ვ. ა. სულხანიშვილი, ხოლო სარევიზიო კომისიის წევრებად. ნ. ი. მესხიშვილი, ა. თ. ჯავარიშეიშვილი და კ. დ. ბაქრაძე.

✦ 27 მარტს მოხდა ტფილისის **საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების კრება.** კრებამ განიხილა ანგარიში. 1904 წელს საზოგადოებას წმინდა მოგება ჰქონია 181,500 მან. 48 კაპ. კრებამ დაამტკიცა ანგარიში და ხარჯთ-აღრიცხვა. შემდეგ არჩეულ იქნა კომისია წესდების გადასათვალიერებლად და შესასწორებლად. დასასრულ მოხდა არჩევნები. გამგეობის თავმჯდომარედ კრებამ 5 წლით აარჩია ი. ივ. ფსაროვი; საბჭოს წევრად ალ. ა. მელიქ-აზარიანცი; სარევიზიო კომისიის წევრებად პ. ა. ოპოჩინინი, ვ. კონდურაღლოვი და ი. ტერმინასოვი.

✦ ფოსტა-ტელეგრაფის მთავარმა გამგეობამ **სააღდგომო ჯილდოდ გადასდო:** ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის მოსამსახურეთათვის ცხრა ათასი მანეთი, ტფილისის გამგეობისათვის—800 მან. და ტელეფონის მოსამსახურეთათვის—580 მანეთი.

✦ გუშინ, 28 მარტს, **ტფილისის ნოქრებმა** განაახლეს ვაჭრობა და დაუბრუნდნენ მაღაზიებს შემდეგის პირობებით, რომელიც ვაჭართ და ნოქართ შეიმუშავეს და ტფილისის მამასახლისმა შადინოვმა უკვე გამოაქვეყნა:

1. ყველა სავაჭრო დუქნებსა და მაღაზიებში მუშაობა უნდა იწყებოდეს დილის 8 საათზე და თავდებოდეს საღამოს 6 საათზე შეუწყვეტლივ. ყოველ ნოქარს მიეცეს ერთი საათი სასადილოდ ნაშუადღევის 1—3 საათის განმავლობაში.
2. ის დუქნები და მაღაზიები, რომელნიც სანოვაგით ვაჭრობენ, შეიძლება გაიღოს დილის 7 საათზე და საღამოს 7 საათზე დაიხუროს.
3. დაწესდეს შეუვაჭრებლივ ვაჭრობა. მოისპოს მუშტრის დაძახება და ნოქრების პროცენტებით დაჯილდოვება.
4. იმ ნოქრებს, რომელთაც წელიწადზე მეტი უმსახურიათ, მძიმე ავადმყოფობის დროს უნდა მიეცეთ ერთი თვის ჯამაგირი და ადგილიც შეენახოთ ერთის თვის განმავლობაში. ვისაც 3 წელიწადი უმსახურნია, ავადმყოფობის დროს ორი თვის ჯამაგირი უნდა მიეცეთ და ორი თვეც ადგილი შეენახოთ, ხოლო ვისაც 5 წელიწადი და მეტი უმსახურია, ავადმყოფობის დროს მიეცეთ 4 თვის ჯამაგირი და 4 თვე ადგილი შეენახოთ.
5. ყოველ ნოქარს, რომელსაც წელიწადზე ნაკლებ არ უმსახურნია, ორის კვირით შეუძლიან შეისვენოს და ჯამაგირი მიიღოს.
6. ნოქარი, რომელსაც დაითხოვენ უმიზეზოდ, უნდა დასაჩუქრდეს: წელიწადზე ნაკლებ ვისაც უმსახურნია—ერთი თვის ჯამაგირით, ხოლო ვისაც წელიწადზე მეტი—ორის თვის ჯამაგირით.
7. სადილის ფულის შესახებ თითონ უნდა მორიგდნენ. თუ სურს ნოქარს, სადილის ფასს ფულად მიიღებს, თუ არა, არა.
8. ზრდილობიანი სიტყვა-პასუხი.
9. ყველა გაფიცული ნოქრები უნდა უკანვე მიღებულ იქნენ და ჯამაგირიც დაუბრუნდეთ.

✦ იანვარში პოლიციამ კანკარგულება მოახდინა, რომ **სახლის პატრონებმა** სავალდებულოდ უნდა შეაკეთონ თავიანთ სახლის წინ ქვა-ფენილები (ტროტუარები). ასეთის კანკარგულების გამოცემა პოლიციას არ შეეძლო, რადგან ქალაქის მიერ შედგენილი სავალდებულო დადგენილება ასეთ ძალას პოლიციას არ აძლევდა. ამ გვარად ქვა-ფენილების გაკეთება შეჩერდა. იმ ხანებშივე ქალაქის საბჭომ დაავალა გამგეობას სავალდებულო დადგენილებათა ახლად შემუშავება და შეცვლა-შევსება. ეს დადგენილებანი გამგეობას უკვე შეუდგენია და მომავალ ხუთშაბათს საბჭოს მოახსენებს დასამტკიცებლად. ამის შემდეგ ქვა-ფენილების შეკეთების საქმეც დაჩქარდება.

✦ კალუგის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსი ზაიცევი დაინიშნა ტფილისის ფოსტა ტელეგრაფის კანტორის უფროსად.

✦ 23 მარტს, ღამე, გოლოვინის პროსპექტზე, საარტისტო საზოგადოების სადგომის გვერდით, გასტეხეს გ. ი. კურდის იარაღის მაღაზია და გაიტანეს იარაღი. ქურდები გადასულან ორბელიანის სახლის ეზოში (ამ სახლშია მაღაზია) და აქედან მაღაზიის კარები გამოუმტვრევიათ. უცნობთ მაღაზიაში არც საფულე კასისათვის უხლიათ ხელი და არც სხვა რაიმე ნივთისთვის, მხოლოდ მოუხვეტიათ მაღაზიაში რაც ახალ სისტემის რევოლვერები ყოფილა, ასე 40-მდე, აგრეთვე 1000 რევოლვერის პატრონა და იმავე გზით წასულან.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

პეტერბურგი. კავკასიის მთავარ მართებლის საბჭოს წევრი ბ-ნი სულთან-კრიმ-გირეი დაინიშნა კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწედ. სულთან-კრიმ-გირეის ჩაბარება სამოქალაქო საქმეების მართვა-გამგეობა.

ფოთი, 28 მარტი. აქ გაიფიცნენ ყველა ნოქრები და ქარგლები, რიცხვით 500 კაცამდე, და მოთხოვნები წარუდგინეს თავიანთ ალებს.

ქუთაისის ახალი ამბები

✦ 21 მარტს ქუთაისის გუბერნატორს ადგილობრივ სასწავლებელთა დირექტორების, საზოგადოების წარმომადგენელთა და მოხელე პირთა თანადასწრებით თათბირი ჰქონდათ შესახებ იმისა, გაიხსნას თუ არა ამ ჟამად დაკეტილი სასწავლებლები. უმეტესობამ შეუძლებლადა სცნო ასეთს მდგომარეობაში სასწავლებლის გახსნა, რადგან ძალდატანებით მოწაფეების სწავლება მოუხერხებელიაო, და დაადგინა: აღძრულ იქმნას შუამდგომლობა საერო განათლების მინისტრის წინაშე, რომ ამ წლის პირველ სექტემბრამდის შეჩერებულ იქმნეს სწავლა ქუთაისის სახელმწიფო სასწავლებლებში; ამასთან ნება მიეცეთ უფროსი კლასის მოწაფეებს (გიმნაზიაში მერვე კლასებს და რეალურ სასწავლებელში მეშვიდე კლასებს) დასამთავრებელი ეგზამენები მაისში დაიჭირონ; ამგვარივე ნება მიეცეთ უფროს მოსამზადებელ კლასის მოწაფეებსაც; დანარჩენებს კი უფლება ექნეთ, რომ აგვისტოში გამოცხადდნენ შემდეგს კლასებში გადასავალ ეგზამენების დასაჭერად.

✦ 19 მარტისთვის დანიშნული ქალაქის საბჭოს საგანგებო კრება, რომელიც მოწვეული იყო ვიცე-გუბერნატორის წინადადებით, არ შესდგა, რადგან ხმოსანთა საკმაო რიცხვი არ დაესწრო. ამის გამო ვიცე-გუბერნატორის წინადადება, რომ ქუთაისში წესიერება-მშვიდობიანობის დასამყარებლად გადიდებულ იქმნეს დაბალ პოლიციელთა რიცხვი, განუხილველი დარჩა.

✦ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი თავ. ჯამბაკურ-ორბელიანი დაბრუნდა გურიიდან.

✦ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით ქალაქში გამოკრულია მცხოვრებთათვის სავალდებულო დადგენილება, რომლის ძალითაც აკრძალულია ყოველგვარი კრება მთავრობის ნებადაურთველად. ამ დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავეთ გადახდებათ ჯარიმად 3,000 მანეთი, ან სამი თვით ციხეში დაამწყვდევენო.

✦ ამას წინად ქალაქის საბჭოში 12 ხმოსანმა შეიტანა განცხადება, რომელშიაც აწერილია მოკლედ ქუთაისში მომხდარი არეულობანი, დასახელებულია ამ არეულობათა გამომწვევი ზოგიერთი მიზეზი, ნაჩვენებია ეხლანდელ წესწყობილების უვარგისი მხარეები და აღნიშნულია კერძოდ ქალაქისა და საზოგადოდ მთელის სახელმწიფოს დღევანდელი საჭიროებანი. [illegible] განცხადებაში გამოთქმულია [illegible] იმის შესახებ, რომ ქუთაისის საბჭო შეუერთდეს მოსკოვის ქალაქის საბჭოს დადგენილებას, რომელიც მოხდა წარსულ წლის 30 ნოემბერს, 65 ხმოსნის მიერ წარდგენილ მოხსენებით წერილის გამო. აი, სხვათა შორის, რას ვკითხულობთ ხმოსანთა განცხადებაში: „მრავალი ფაქტი ამტკიცებს, რომ მღელვარებას შეუპყრია ჩვენი საზოგადოების ყოველი წრე (слои); რომ არსებულ წესწყობილებით გამოწვეულ უკმაყოფილება ყველაფერს მისდებია ისე, როგორც ღრმა რწმენა იმის შესახებ, რომ ამ მდგომარეობიდან გამოსვლა ყოვლად შეუძლებელია ამდენხანს ხმარებულ ბიუროკრატიულ ზომებით (იხ. „რუს. ვედ.“ № 11, 1905 წ.) და, მართლაც, ჩვენ ვხედავთ, რომ მრავალ-მილიონიან და სხვადასხვა ტომიან რუსის ხალხის უკმაყოფილო საზოგადო ელემენტები დაუფარავად და განსაზღვრულად გამოსთქვამდნენ სხვადასხვა საზოგადო და წოდებრივ კრებებსა, ბანკეტებსა, ყრილობებსა, სწავლულთა სხდომებზე და სხვაგან თავის მისწრაფებათა და იდეალებს, კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებდნენ ისინი ეხლანდელ წესებს; სხვათა შორის, აღნიშნავდნენ, რომ რუსეთის ყველა ქვეშევრდომი მოკლებულია ადამიანურს, თითქმის სულ უბრალო, ელემენტარულ უფლებებსაც, როგორც, მაგალითად: პიროვნების და ოჯახის კერას ხელუხლებლობას, სიტყვის, სინიდისის, კრებების თავისუფლებას და სხ.; აღნიშნავდნენ მცხოვრებთა ერთის ნაწილის ეკონომიურს დამოკიდებულებას და იურიდიულს უუფლებობას; მრავალი მაგალითი მოჰყავდათ დასამტკიცებლად იმისა, თუ როგორ შევიწროვებული და დამოკიდებულია ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოები, თუ როგორ არღვევენ კანონებს სხვა-და-სხვა სფერაში და სხ., აღნიშნავდნენ რუსის სასამართლოს და სკოლის მრავალს ნაკლულევანებას, და ერთის სიტყვით—ყველაფერს, რაც შეადგენს ჩვენის საზოგადოებრივ და სახელმწიფო ცხოვრების არსებითს ინტერესებს. მაგრამ საზოგადოებრივ კრიტიკა არ დასჯერდა არსებულ წესწყობილების მარტო განკიცხვას, მასთან ერთად ნაჩვენები იყო ზომები საზოგადო უკმაყოფილების მოსასპობად და ეხლანდელ ცხოვრების საზოგადო პირობათა გასაუმჯობესებლად. ამგვარად, რუსეთში შესდგა საზოგადო აზრი, რომელმაც მიიღო სრულიად გარკვეული შინაარსი და ამტკიცებს, რომ ქვეყნის დასაწყნარებლად და წესიერების დასამყარებლად აუცილებლად საჭიროა სრული განახლება მთელ საზოგადო და სახელმწიფო წესწყობილებისა... ჩვენი ქალაქის ქუჩებზე მომხდარ არეულობათა მიზეზი ის კი არაა, რომ მეეზოვეები არა გვყავს ან დაბალ პოლიციელთა და საერობო დარაჯთა რიცხვი მცირეა; და ჩვენ კიდევ კი არ უნდა გავამაგროთ ეხლანდელი ბიუროკრატიული რეჟიმი, რომელმაც საზოგადოების თვალში ნდობა დაჰკარგა, ანუ კი არ უნდა გავაძლიეროთ ადმინისტრატიული მზრუნველობა, თუ გვსურს ჩვენის თავისა და სამშობლოს დაცვა, თუ გვსურს მივიპოვოთ ყველასათვის სასურველი მშვიდობიანობა და სულიერ და ნივთიერ ძალთა განვითარება. არა, ჩვენი ხსნა მხოლოდ ერთს რასმე შეუძლია: საჭი-

---

ოთარაშვილს ცილი დასწამეს, გაქცეული შენი ნათესავიაო, დაატუსაღეს და 180 მან. წაართვეს. ლაზარე ხუციშვილი დაატუსაღეს და ვიდრე 70 მან. არ მისცა, არ გამოუშვეს. გოგია ხუციშვილის დაჭერა უნდოდათ, გამოუდგნენ, მაგრამ ვერ დაიჭირეს,—გაჯავრებულებმა გოგიას ოჯახს 60 მან. გადაახდევინეს. სულ ტყუილ-უბრალოდ გათოკეს აბრამა ძმანაშვილი და მაშინ გაანთავისუფლეს, როცა 70 მან. ქრთამი მისცა. ასევე მოექცნენ გოგიაშვილს, ნოდარაშვილსა და დათია ბალაშვილს, რომელთაც რვა-რვა თუმნად დაიხსნეს თავი ნაობახტიდან. გოგია ბალაშვილს-კი 70 მანეთს დასჯერდნენ. ბეგრის ურმების გასაყვანად სალდათები მოდიოდნენ; ვაი ჩვენი ბრალი, თუ ერთი-ორი საათი დაგვაგვიანდებოდა და დრაზე არ შევაბამდით ხარებსა. გამორეკდნენ ხოლმე დედაკაცებსა და ურემშა აბამდნენ. ვასმევდით, ვაჭმევდით თუ ქრთამს ვაძლევდით, სულ ერთი იყო, მაინც განუწყვეტლივ გვატარახებდნენ.

სამართალი ხომ არ არსებობდა ჩვენთვის. ისპრავნიკი ნამდვილი ძაღლის გული იყო. მთხოვნელს კარებს არ გაუღებდნენ, ვიდრე ქრთამს არ დაანახებდა. ბავშვებს პურსა ჰკლეჯდნენ ხელიდან, დედაკაცებს კისერზე ქვებსა ჰკიდებდნენო. ისპრავნიკმა უდანაშაულო რევაზს და ითანეს 140 მ. წაართვა მამუკასა და ზურაბს ცხრა ცხრა თუმანი. ხორბლის საწყაო მოიტანა კაპიტან-ისპრავნიკმა და გამოგვიცხადა, ფუთიანიაო. ამ საწყაოთი იბარებდა ხორბალს ჯარისათვის. როცა გამოვზომეთ ისპრავნიკის საწყაო, აღმოჩნდა, რომ შვიდ ლიტრას იწონიდა. (ლიტრა ათი გირვანქაა, ზოგან ცხრა). ჩვენი აჯანყების მიზეზი სულ გენერალი პორტნიაგინი და ისპრავნიკებია, სხვა არაფერიო. ბოლოს ამასაც ამბობენ: ნეტა ხელმწიფეს რა სარგო ჰქონდა ჩვენის ასეთის დაწიოკება-დარბევისაგანაო 29).

ამავე სიღნაღის მოურავს თ. იოსებ ანდრონიკაშვილს მოახსენებენ პრასიანელები: ისე დაგვარბიეს და შეგვაწუხეს მოხელეებმა, რომ გამწარებული სიკვდილს ვეძებდით, მაგრამ ჩვენი მფარველი და პატრონი არსად სჩანდა, გაუნელებელ ცეცხლის ალში გავეხვიეთ, ვიწვოდით და ვიდაგებოდით, მაგრამ მანუგეშებელი ვერავინ ვნახეთ. ჯარისთვის ხორბალი უნდა გაგვეღო, როცა არა გვქონდა, რას მივცემდით, მაინც ვყიდულობდით, ლიტრაში 40 კაპ. ვაძლევდით, პროვიანტის მოხელენი კი 10 ან 7½ კაპ. ანგარიშობდნენ; ურმის ქირას 6 მანათს ანგარიშობდნენ, როდესაც ჩვენ თითონ 30 მ. გვიჯდებოდა ურემი. უღმერთოდა ჰტვირთავდნენ ურემსა, კარგ ამინდში კიდევ ჰო, ურემი დაიძვროდა, მაგრამ თოვლსა და ჭყაპში უზომოდ დადებულს ურემს საძრავი არა ჰქონდა. გაბრაზებული სალდათები ჩვენ თითონ, მეურმეებს, გვაბამდნენ და ცემა-ტყეპით მიგვერეკებოდნენ. ეს კიდევ რა, უბედურება ის იყო, რომ ორ-სამი სოფლისაგან ქრთამს აიღებდნენ და ბეგრისაგან ანთავისუფლებდნენ, და ამ გვარად იმათ წილ ბეგარასაც ერთს სოფელს ახდევინებდნენ ხოლმე. ორი დღით რომ წაგვიყვანდნენ ბეგარაზე, სამ თვეს გვტოვებდნენ. ნებას არ გვაძლევდნენ საქონელი ურმებიდან გამოგვეშვა საბალახოდ, ან ჩვენ წავსულიყავით სადმე საჭმლის საშოვნელად. ვიხოცებოდით შიმშილით და როცა ვითხოვდით ან პური გვაჭამეთ, ან გაგვიშვით სოფლად საკვების საშოვნელად, დედა-მიწაზე მიგვათითებდნენ ხოლმე,—სჭამეთო. გაშეშებულივით ვიდექით ზეზე როგორც მეურმენი, აგრეთვე საქონელი. დიდძალი ხარ-კამეჩი იხოცებოდა ბეგარაზე. საქონლის მაგიერ ჩვენ გვაბამდნენ და მათრახის ცემით მიგვერეკებოდნენ.

ყველაზე მეტად სულს გვიმწარებდა გენერალი პორტნიაგინი, კაპიტან-ისპრავნიკი და ჯარისკაცების უფროსი. ყველაფერი მიჰქონდათ, რაც რამ გვებადა, მაგრამ ამითაც არ კმაყოფილდებოდნენ. ზამთრობით ჯარს ჩაგვიყენებდნენ ხოლმე სახლებში და ძალას გვატანდნენ გამოგვეკვება სალდათები გაზაფხულამდინ. ღვთის რისხვა იყო სწორედ ჯარის ჩაყენება ოჯახებშია, ვასმევდით სალდათებს, მაინც გვცემდნენ, ვაჭმევდით, მაინც მათრახს ვერ ავცდებოდით. ლოგინებიდან წამოგვაგდებდნენ ხოლმე და თვითონ წვებოდნენ შიგა. ვინ მოსთვლის რამდენი ცოლი და ქალი გაგვიუპატიურეს და ნამუსი აჰხადეს!

სამართლის კარი ხომ დაკეტა და დაიხშო ჩვენთვის. გაგონებითაც არა გვქონია გაგონილი, რომ ჩვენში დავა-დარაბა ატეხილიყოს წყლისა და მამულის გამო. განზრახ წაჰკიდებდნენ სოფლებსა, ჩამოაგდებდნენ მტერსა, შუღლსა და შემდეგ 400—600 მანათ ქრთამს რომ აიწაპნიდნენ, ბრალიანსა და დამნაშავეს ამართლებდნენ. უმიზეზოდ, უდანაშაულოდ კაცს გადაეკიდებოდნენ და იძულებულ ჰყოფდნენ იწროებასა შინა ჩავარდნილი ადამიანი გადახვეწილიყო სადმე. მაშინ გადახვეწილის მეზობლობას ღალატს შეგვწამებდნენ და მოგვისევდნენ ჯარსა დასარბევად, იჭერდნენ და ატუსაღებდნენ უდანაშაულო კაცსა და ანთავისუფლებდნენ ნაობახტიდან, თუ 400 მ. საჩუქრებს მივართმევდით. სწორედ ამ ნაირად წავქცეოდნენ ლეკებიც.—სათხოვნელად მისულს თუ მუშტი შეკუმშული არა ჰქონდა ნიშნად იმისა, რომ ხელში ქრთამი უპყრავს, სასამართლოში არ უშვებდნენ და ბევრსაც მათრახებდნენ ხოლმე. არა, ცარიელ-ტარიელი რომ მოდიხარ, სად მოდიხარო. ხუთი მანათის სადავო საქმე რომ გვქონოდა, ხუთი თუმანი უნდა დაგვეხარჯა 30).

ჰკითხულობ ამ გულუბრყვილო და ნაწვეტ-ნაწვეტად მოთხრობილს ამბავსა და თვალს არ უჯერებ. [illegible] რა მოთმინება და შეძლება ჰქონია ერსა, რომ [illegible] ზედ არ შესძლა ზნე-[illegible] ჯარის-კაცსა და მსუნაგს და გაწუწკებულს მოხელეს! უსამართლობა, ცემა-ტყეპა, დარბევა-დაწიოკება სოფლისა, ქურდობა, განზრახ დავა-დარაბის ატეხა, უზნეობა-გარყვნილობის შეტანა, ქალწულთა და დედაკაცთა ნამუსის ახდა აშკარად, ქმართა და მახლობელთა თვალწინ, ქალისა და კაცის უღელში შებმა, გატიტვლებულის დედა-კაცის გაჯოხვა,—ეს რაღაც დაუჯერებელი ამბავია, ისეთი ველურობა, რომლის მსგავსი თვით თემურ-ლანგის დროსაც არ იქნებოდა. აკი სჩივიან ბოდბისხეველნი და პრასიანელნი, რაც რუსობამ მწუხარება მოგვაყენა, მაგ გვარი თურქთა, ყიზილბაშთა და ლეკთა ჟამთა ბატონობის დროსაც არ გამოგვივლიაო!—იმპერატორი ალექსანდრე I კურთხეული საქვეყნოდ დაჰპირდა საქართველოს პატრონობა-მფარველობას. თურმე თორმეტი წლის შემდეგ ამ პატრონობას უწევდნენ მოხელენი ერთმორწმუნე ერს. 31)

ქვემოდ დაწვრილებით იქნება ნაამბობი, ეხლა მარტო იმას აღვნიშნავთ, რომ მეამბოხეებმა შეიპყრეს სიღნაღში მაიორი გენე, ქვედა-ნოვგოროდელთა დრაგუნის პოლკის კომანდირი მაიორი პოტლოგი და რამდენიმე ოფიცერი და ნაკუწ-ნაკუწად აჩეხეს. ვიდრე ამას მოიქმედებდნენ, მეამბოხეებმა თურმე დასჭრეს ენები, ჯერ გადაათლაპეს და მხოლოდ შემდეგ აჩეხეს. ამ ამბავს ასე მოახსენებს უქვეშევრდომილესად ალექსანდრე პირველს მარკიზი პაულუჩი: გამხეცებულმა მეამბოხეებმა დახოცეს ოფიცრები და უსასტიკესად აწამეს. რადგან ვიცი თქვენი გულკეთილობა, ვერა ვბედავ აგიწეროთ ოფიცრების ტანჯვა-წამებანი. ვერავითარი ფანტაზია ვერ წარმოიდგენს და ვერ გაითვალისწინებს ამ ტირანობას; მისი ხილვით, ან გაგონებით კაცობრიობა შეძრწუნდებაო. 32) უკვირს გარიბალდის თანამემამულე მარკიზს ქიზიყელთა მართლა რომ ბარბაროსული და ველური გაბოროტება. ათვალწუნებული აზია და აფრიკა დიდი ხანია საჭირითო მოედნადაა აღიარებული. თავისნი ოფიცრები როგორ გავამტყუნოთ, როდესაც დღევანდელი ევროპიელი, კულტურით დამშვენებული, შინ ნაზი და წყნარი, დასდგამს თუ არა ფეხს აფრიკისა და აზიის ნიადაგზე, პირუტყვად ხდება. გეცოდინებათ, რა დაუჯერებელი და შემაძრწუნებელი ამბები მოდის ხოლმე კონგოდან. ისე, ვითომც აქ არაფერიაო, გულის გაუღებლად, ევროპიელნი თოფით ჰხვრეტენ ზანგებსა. აღშფოთებულის სინიდისის დასამშვიდებლად იტყვიან ხოლმე—გაგიჟებულან და აბა გიჟს რა მოეთხოვებაო. კარგია, თქვენმა მზემ? გიჟი საგიჟეთში უნდა იჯდეს. ვინც ჭკუაზე მწყრალადაა, განა ხალხის მოსავლელად გაიგზავნება? ევროპიელებმა მაინც ასე იციან, ღვთისნიერი და გონიერი ადამიანი აზია-აფრიკისთვის არ ემეტებათ, რაც დამთხვეული და გადარეული ჰყავთ, აზიისკენ ეხლებიან. ესენიც სულ მუშტსა და ხმალზე იგერებიან და არიან ერთ ამბავში.

ა. ფრონელი

---

27) იხ. Акты, ტ. V. გვ. 64—65.

28) ibid. გვ. 61.

29) იხ. Акты, ტ. V. გვ. 61—62.

30) ibid. ტ. V, გვ. 62—63.

31) ეს ის ცნობილი მანიფესტია, ასის წლის იუბილე ამას წინათ რომ ვიდღესასწაულეთ. მანიფესტის თარიღი 12 სექტემბერი 1801 წ. მანიფესტის პირველი სტრიქონი ამოჭრილია სპილენძის ფიცარზე და გამოკიდებულია „დიდების ტაძრის“ კედელზე, გოლოვინის პროსპექტზე.

32) ibid. ტ. V, გვ. 73; утв... ტ. II, 336.

რომ არსებული კანონები ისე მოეწყოს, როგორც ამას მოითხოვს ხალხის ეხლანდელი საჭიროებანი... წესიერების დამყარება შეიძლება ან სამხედრო-პოლიციურ ზომებით,—რაც ჩვენს ქალაქშია შემოღებული,—ან ახალ კანონების გამოცემითა და ძველების შეცვლით ისე, როგორც ამას მოითხოვს ეხლანდელი საზოგადო საჭიროებანი. პირველი საშუალება საზოგადოებას მხოლოდ გარეგნულად დააშვიდებს,—რის გამო იგი ვერაა მკვიდრი და ნამდვილი; მასთან, რამდენადაც უფრო ხანგრძლივი და ძლიერია ეს ხალხის მღელვარების დამაშვიდებელი შემავიწროებელი ზომები, იმდენად უფრო ძლიერდება და საშინელი შედეგი ჰყვება არეულობას, როდესაც კი იფეთქებს. მეორე საშუალებას კი პირდაპირ მიზნისაკენ მივყავართ; ეს ნამდვილი, უტყუარი საშუალებაა მშვიდობიანობისა და ნორმალურ წესწყობილების დასამყარებლად“. შემდეგ აღნიშნულია საზოგადოთ რუსეთისა და კერძოთ კავკასიის ქალაქების თვითმართველობათა შეზღუდული მდგომარეობა. „საჭიროა შეიცვალოს სახელმწიფო-საზოგადოებრივ ცხოვრების საზოგადო პირობებიც, რადგან მთელს მის ნაწილს ერთმანერთთან მეტად მჭიდრო კავშირი აქვსო“. საბჭომ ერთხმად მიიღო ეს განცხადება.

რუსეთის ქრონიკა

სახალხო განათლების მოღვაწეთა კრება. 12 მარტს შესდგა სახალხო განათლების მოღვაწეთა კრება და შემდეგი დაადგინეს:

„წინააღმდეგობა ჩვენ მოძველებულ ბიუროკრატიულ წესწყობილებისა და ცხოვრების მოთხოვნათა დიდი ხანია შეიქნა მიზეზი ხალხის აღურიცხველ უბედურებათა. მაგრამ ამ უკანასკნელ დროს ამ წინააღმდეგობამ იქამდე მიაღწია, რომ ყოველი დაგვიანება მის მოსპობისა დაღუპვას უქადის სახელმწიფოს. დადგა ჟამი ჩვენის საზოგადოებრივ და სახელმწიფო ცხოვრების ძირითად ცვლილებისა და ამ დროს ყოველ მამულისშვილის წმინდა მოვალეობაა აჩვენოს ჩვენის ცხოვრების იარები და საშუალებანი მათის განკურნებისა.

ჩვენ, მასწავლებელნი და სხვა მუშაკნი სახალხო განათლების საქმისა, მოვალეობად მივვაჩნია გამოვაცხადოთ, თუ რა მდგომარეობაშია ჩვენთვის ახლობელი საქმე—ხალხის განათლებისა... ხალხის განათლება პირველ ხარისხოვანი სახელმწიფო საქმეა. დიდი ხანია ყველა ხალხის უვიცობას ჩივის, ყველა თხოულობს ამ უვიცობასთან ბრძოლას... ინტელიგენცია თავდავიწყებით სწირავს თავის ძალღონეს ამ ბრძოლას. მიუხედავათ ამისა ჩვენი ხალხი უვიცობით არის მოცული. ჩამორჩით განათლებაში არა თუ ევროპის, აზიის ზოგ სახელმწიფოსაც. სკოლების რიცხვი ცოტაა; არსებულ სკოლების ორგანიზაცია და მოწყობილობა ისეთია, რომ სულ მცირე ნაყოფი მოაქვს; სკოლის გარე განათლების მხოლოდ ჩანასახია...

მიზეზი ჩვენის ჩამორჩენისა არის შედეგი არსებულ წესწყობილებისა. დიდ-ძალი ფაქტები გვარწმუნებს, რომ ბიუროკრატია განზრახ აფერხებს ხალხში განათლების გავრცელებას, განზრახ უწყობს ხელს უვიცობას, როგორც თავის არსებობის საფუძველს. ორ მილიარდიან ბიუჯეტიდან სახალხო განათლებისათვის ძლივს ერთი მეასედი იხარჯება და ამასთან ამ მცირე თანხიდანაც კარგა დიდი წილი მოდის სამრევლო სკოლებზე, რომელთა მიზანია ხალხის განათლების შეჩერება და შეგუება აღზრდისა მთავრობის ანგაარ განზრახვებისთვის. ბიუროკრატია სისტემატიურად უშლის ხელს ფარულად და ცხადით საზოგადოებრივ დაწესებულებათ და კერძო პირთ ხალხის განათლების ასპარეზზე იმუშაონ...

ყველა განმანათლებელი დაწესებულებანი დაუქვემდებარა ბიუროკრატიამ არა მარტო სამოსწავლო ადმინისტრაციას, არამედ სამღვდელოებასა და მოხელეებსაც, გუბერნატორიდან დაწყებული ურიადნიკამდე...

ბიუროკრატიას სურს ძალაიი გარუსება იმპერიაში მცხოვრებ სხვა ერებისა და არა მართლმადიდებელთა შორის მართლმადიდებლობის გავრცელება; სკოლა გახდა ბიუროკრატიის განზრახვების იარაღად, განზრახვების, რომელიც ასე წინააღდეგია კაცთ-მოყვარეობისა და ქრისტიანობისა და ამან მოაშორა ხალხი სკოლას და იძულებით უვიცობის მსხვერპლი გახადა...

გარდა პირდაპირ წინააღმდეგობისა, ბიუროკრატია არა პირდაპირ გზითაც აფერხებს ხალხის განათლებას: ჩააყენა ხალხი ისეთ მძიმე მატერიალურ პირობებში, რომ განუწყვეტლივ არსობის პურზე უნდა იზრუნოს და დრო სრულიად არა აქვს განათლებისათვის.

ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ აუცილებელია თავისუფალი, დემოკრატიული სკოლა: ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს რეფორმა მაღალ, საშუალო და დაბალ განათლებისა თანახმად ხალხის ინტერესებისა.

ა) ყველა ტიპის სკოლები ისე უნდა იქნეს შეთანხმებული, რომ მაღალ ტიპის საზოგადო განათლების სკოლა გაგრძელება უნდა იქნეს დაბალ სკოლისა. ბ) შემოღება საყოველთაო, სავალდებულო სწავლებისა; გ) საერო, საზოგადო ხასიათის სკოლა, თავისუფალი სწავლება და სწავლება ხალხის სამშობლო ენაზე; დ) სახალხო განათლების საქმე უნდა გადაეცეს საზოგადოებრივ დაწესებულებათ, სადაც მასწავლებლებსაც ეყოლებათ წარმომადგენლები. ასეთ რეფორმას ნაყოფი მაშინ მოჰყვება, თუ მიღებული იქნება ღონისძიება მშრომელ ხალხის ეკონომიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ყველა ზემოდ ჩამოთვლილის განსახორციელებლად აუცილებელია: სრული გარანტია პიროვნების და ბინის ხელუხლებლობისა; თავისუფლება სინიდისისა, სიტყვისა, შეკრებისა და შეკავშირებისა.

არსებული ორგანოები მთავრობისა ვერ შემოიღებს ცხოვრებისათვის საჭირო ცვლილებას; ამიტომ ეხლანდელ მომენტის უარსებითესი მოთხოვნილება არის ხალხის წარმომადგენლების მოწვევა, საყოველთაო, პირდაპირ, ფარულ და ყველასათვის თანასწორ (განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა) სარჩევნო უფლებაზე დამყარებული; ამასთან ეხლავე უნდა მოისპოს გაძლიერებულ დაცვის წესი და გამოცხადდეს ამნისტია პოლიტიკურ და რელიგიურ რწმენის გამო დასჯილთათვის“.

20 მარტისათვის ამ განცხადებაზე უკვე 400 მასწავლებელ კაცსა და ქალს ჰქონდა ხელი მოწერილი. („ს. ო.“).

ნ. ა. სულთან-კრიმ-გირეი.

ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე სულთან-კრიმ-გირეი, პირდაპირი ჩამომავალი ყირიმის ხანებისა, დაიბადა 1836 წელს. კადეტის კორპუსის გათავების შემდეგ იგი შევიდა მთავარ-შტაბის აკადემიაში. აქ რომ კურსი დაასრულა, გვარდიაში შევიდა სასამსახუროდ.

1861 წელს კრიმ-გირეიმ სამხედრო სამსახურს თავი დაანება და გამომძიებლად დანიშნა ტავრიდის გუბერნიაში. 1869-ში ფეოდოსიის საერობო კრებამ აირჩია მომრიგებელ მოსამართლედ. 1871 წელს ქ. ფეოდოსიის ხმოსნებმა ქალაქის თავად აირჩიეს. 1875-ში ფეოდოსიის საერობო კრების თავმჯდომარედ და მაზრის მარშლად იყო.

1886 წლამდე კრიმ-გირეი მარშლად იყო. ამ წელს კი სახელმწიფო ბანკის განყოფილების მმართველად დანიშნეს ეკატერინოსლავში; 1888 წ. სიმფეროპოლში გადაიყვანეს ამავე თანამდებობაზე.

1895 წლიდან კრიმ-გირეი დაინიშნა კავკასიის მთავარ-მართებლის საბჭოს წევრად ფინანსთა სამინისტროსაგან. ამ დღიდან დაწყებული ბატონი კრიმ-გირეი ჩვენში იყო მუდამ და დიდი პატივისცემა დაიმსახურა თავის ჭეშმარიტ ქცევით, რაც ასე იშვიათია მოხელეებ შორის.

იმედია, რომ ახალ, უფრო პასუხ-საგებ თანამდებობაზე ნ. ა. სულთან-კრიმ-გირეი უფრო რეალურად გამოხატავს თავის სიმპატიურ თვისებებს და ჯარს, ფიზიკურ ძალას ასე უხვად არ მოიხმარებენ გაჭირვებულ ხალხის ჩასაწყნარებლად.

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო! თქვენს გაზეთში მოხსენებულია (ამ წლის ნომერი 277), ვითომც ს. ს. სადოლაშნის, არადეთის და წვერის მემამულეთ მიიღებით გაგვეთავებინოთ გლეხ-კაცობასთან ატეხილი დავა-დარაბა. იქვეა დაბეჭდილი ის პირობანიც, რომელიც ვითომ ჩვენ და გლეხ-კაცობამ მივიღეთ.

ეს ცნობა სინამდვილეს არ ეთანხმება. 18 მარტს მართლა შეიკრიბა ზემო აღნიშნულ სოფელთა გლეხ-კაცობა. მე და თავ. სარდიონ ამირაჯიბი დავესწარით ერილობას. ლაპარაკი ბევრი იყო, მაგრამ საბოლოოდ ვერას დავადექით. გლეხ-კაცობას ჩვენ აღვუთქვით და ავასრულებთ კიდეც: როგორც ქვეყანა გაივლის, რა დალასაც სხვაგან შემოიღებენ, ჩვენც თანახმანი ვიქნებით ახალის წესისა. აი ესაა შედეგი ჩვენი საერთო კრება-მოლაპარაკებისა და არა ის, რაც № 2778-შია დაბეჭდილი.

გასილი აბელის ძე კალატოზიშვილი

ღამის დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან.

28 მარტი

ტოკიო. ბალტიის ესკადრის გამოჩენამ მალაკის სრუტეში აქ დიდი მღელვარება გამოიწვია. ყველას იმედი აქვს, ჩქარა საბოლოო შეტაკება მოხდებაო.

ლონდონი. საზღვაო კრიტიკოსების აზრით, შესაძლებელია ტოგომ არ მიიღოს ბრძოლა, ვინაიდგან მას რეზერვი არა ჰყავს, რომლის იმედი ექნებოდა მას, თუ დამარცხდებოდა, იმ შემთხვევაში; ის არ მოუსვენებს როჟესტვენსკის და ნაღმოსნებით დაუწყებს მას გამუდმებულ დაცემას, რათა გაუნადგუროს მას სანახშირე გემები და მით რუსეთის ესკადრა მოაკლოს ნახშირის შოვნის საშვალებას.

გონკონგი, 26 მარტი. ინგლისის კრეისერი „სიუტლი“ მოულოდნელად გავიდა აქედან. ამბობენ, მას ბრძანება მოუვიდა, ჩქარა გაემგზავროს სამხრეთით. მას ახლავან ჯავშნოსნები „გლორი“ და „ოკეანი“ და კრეისერი „იფიგენია“.

პენანგი. ინგლისის კრეისერი „ტეტის“-ი უცბათ გაიწვიეს სინგაპურში.

პეტერბურგი. ხარკევიჩის დეპეშა მთავარ შტაბს 1905 წ. 26 მარტის თარიღით: „ჯარებში ცვლილება არ მომხდარა“.

ლონდონი. „დეილი ტელეგრაფ“-ი ამბობს მეთაურ წერილში: „ჩვენ ალტაცებაში მოგვიყვანა მეფის ამპარტავნულმა უარის თქმამ, არ გავუშვებ რუსეთის დამარცხებასო. შეუბრალებელ ომის შემდეგ, რუსეთი, მიუხედავად იმისა, რომ იგი დამარცხებულია, მუხლს მაინც არ იხრის თავის დამარცხებელის წინაშე. ეხლა რომ რუსეთმა გაიმარჯვოს ზღვაში, ეს იაპონიის ჯარებს საშიშ მდგომარეობაში ჩააგდებს და ნებას მისცემს რუსის გენერლებს მოიკრიბონ ახალი ძალები და ახალ საქმეს შეუდგნენ. ბალტიის ესკადრის მალაკის სრუტეში გასვლა დიადი სიმამაცეა როჟესტვენსკის მხრივ, რომელმაც გვიჩვენა, რომ ის ძლიერ ნიჭიერი ადმირალია, რადგანაც მან ისე გაატარა მთელი ფლოტი უცნობ წყლებში, რომ არავითარი ზიანი არ მოსვლია მას“.

ვაშინგტონი. რუზველტის ცდას ზავის ჩამოგდების შესახებ მარტოოდენ ჰუმანიური საფუძველი როდი ჰქონია. შეერთებული შტატები გაფაციცებით ადევნებენ თვალს იაპონიის შორეულ აღმოსავლეთში გაძლიერებას და ეშინიათ, რომ იქ იაპონიის სხვაზე მეტი გავლენა ზარალს მოუტანს შეერთებულ შტატებს, როგორც პოლიტიკურად, აგრეთვე ეკონომიურად. მთავრობის ერთმა წევრმა გულ-ახდით უთხრა „მორნინგ-პოსტ“-ის კორესპონდენტს: „ჩვენ წინა პირველად შორეულ-აღმოსავლეთში ყველა სახელმწიფოების თანასწორობა გვსურს. იაპონიის გამეფება ჩინეთში ისეთივე სასაშიშროა, როგორც რუსეთის. ჩვენ გულგრილად ვერ შევხედავდით ამ გვარ უთანასწორობას და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ზავის ჩამოგდებისას იაპონია ზომიერებას გამოიჩენს და დაჟინებით არ მოითხოვს ვლადივოსტოკის დაიმობს, რასაც თანასწორობის სრული დარღვევა მოჰყვებოდა“.

ნიუ-ჩუანი. ავიზატა და ჩინელ სალდათთა დიდი რიცხვი ციციკარის და ჩრდილო-დასავლეთით იერიან. ჰფიქრობენ, მათ რკინის გზის დანგრევა თუ უნდათო.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან.

28 მარტი

ტოკიო. ოფიციალურად იუწყებიან, რუსეთის ქვეთა ჯარის ბატალიონმა და 600 ყაზახმა იერიში მიიტანეს ცულიუშუზე, მაგრამ მოგერიებულ იქნენ. მეორე დღესაც გაიმეორა ყაზახების 24 სოტნამ რამდენიმე ზარბაზნებით იერიში, მაგრამ მაინც მოიგერიეს. იაპონელებმა 10, რუსებმა 60 კაცი დაჰკარგეს.

პარიზი. „ტან“-ი ჰფიქრობს, როჟესტვენსკისა და ნებოგატოვის ესკადრები შეერთდებიან 10 დღის შემდეგო. მანამდე ბრძოლა არ მოხდება, თუ ტოგო არ დაეშურება და არ ისარგებლებს რუსების ძალთა გათიშვით.

პეტერბურგი. გაზეთები ამბობენ, ადმირალ როჟესტვენსკიმ კარგი ტაქტიკა იხმარა, კომერციულ გემების ჩვეულებრივი გზა რომ აირჩია სამოგზაუროდ; ამ გზაზე ყველაზე ნაკლებ ელოდენ როჟესტვენსკის ესკადრასო.

სინგაპური. გუშინ რომ ესკადრამ გაიარა, იმაში არ იყვნენ შემდეგი გემები: „კნიაზ სუვოროვი“, „იმპერატორი ალექსანდრე მეორე“, „ბოროდინო“ და „ორიოლი“. არ იციან, სად არიან ხსენებული გემები. ჩათვლილ ესკადრაში იყვნენ: „სისოი ველიკი“, „ოლეგი“, „ადმირალი ნახიმოვი“, „დიმიტრი დონსკოი“, „ავრორა“, „იზუმრუდ“-ი, „ჟემჩუგ“-ი, „ალმაზ“-ი, „რუს“-ი, „ალადინ“-ი, „ფიუსრდ ბისმარკ“-ი, „კაიზერინ“-ი. „მარია ტერეზა“, „ავგუსტა“, „ვიქტორია“, „კაიზერ ფრიდრიხ“-ი, „რიონ“-ი და შვიდი კონტრ-ნაღმოსანი. გემებზე სამხედრო დროშა იყო ამართული; კომერციულ დროშით მიდიოდნენ „ვორონეჟ“-ი „იაროსლავლ“-ი, „ტამბოვ“-ი, „ვლადიმირ“-ი, „იუპიტერ“-ი, „მერკურ“-ი, „მეტეორ“-ი, „კორეია“, „კიტაი“, „კნიაზ გორჩაკოვ“-ი, ერთი დალუპულთა გადამრჩენელი გემი და 16 სანახშირე. აქ მოვიდა საფრანგეთის გემი მატროსითურთ, რომელიც „ადმირალ ნახიმოვ“-ზე მსახურებდა. მატროსი წყალში ჩავარდნილიყო 12 საათი დაეყო ზღვაში და შემდეგ გადაერჩინა ტრანსპორტ „მალაკა“-ს.

ჰელსინგფორსი. ერობებში მოსამსახურეებმა გადასწყვიტეს 18 მარტს გამოცემულ მანიფესტის გამო იშუამდგომლონ შეჩერებულ იქნას 1901 წ. სამხედრო ბეგრის წესდება და გაუქმებულ იქნას 1902 წ. დადგენილება, რომლიც სასამართლოებში მოსამსახურე პირების სამსახურიდან დათხოვნას შეეხება. ზემოხსენებული პირნი ამბობენ, მანიფესტი დანარჩენ ზომების განხორციელების წინასწარ-მაცნობელია, იმ ზომების, რომელნიც ერობათა წევრებისაგან წარდგენილ პეტიციებში არიან მოხსენებული და რომელთაც მიზნათ აქვთ დაბრუნოს ფინებს შეურყეველი დაკანონებულ წესწყობილებაო. ერობათა წევრებმა გადასწყვიტეს შესწყვეტონ სეიმის მუშაობა შემდგომამდე, [illegible] წყვეტა. ამის შესახებ მათ შუამდგომლობა აღძრეს.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. გ. ჯაბადა

განცხადებანი

სიბრძნე-სიცრუე

ახალი გამოცემა

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

№ 4711

ო-დე-კოლონ

№ 4711 ო-დე-კოლონს საუცხოვო სუნნელება აქვს და ძალიან კარგად მოქმედებს. ახლა ამ ო-დე-კოლონს ხმარობს მთელი კაცობრიობა.

ფერდ. მიულჰენს

რეინის კელნი

მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის კარის ვაჭარი.

მომწვანო ოქროსფერი ეტიკეტი.

[illegible]

(6—მც.—6)

ნავთის მწარმოებელ ამხანაგობის

„მზეთას“

გამგეობა და სალიკვიდაციო კომისია აცხადებენ პაის პატრონთა საყურადღებოდ, რომ პაის ჩეკების გაცემა ბანკიდან ფულის მისაღებად, განაწილების თანახმად, მოხდება ამხანაგობის კანტორაში ველიამინოვის ქუჩაზე ქ-ნ ხანკალამოვის სახლში, ყოველ დღე 22 მარტიდან 15 აპრილამდე, 11 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდის. ჩეკებს მისცემენ მთხოვნელის განცხადების შემდეგ, მეორე დღეს. იქვე იყიდება რკინის კასსა და კანტორის ხელსაწყო. (3—122—2)

გორო-ნაფტალინი

სრულიად აქრობს თავის ქერტლს, ამაგრებს თმას და ხელს უწყობს თმის ამოსვლას; ამასთან თმას ნამდვილ სახეს აძლევს.

ნება დართულია სამკურნალო განყოფილებისაგან როგორც უვნებელი ნივთიერება. საწყობი სააფთიაქო საქონლის კავკასიის ამხანაგობისა ტფილისსა. ბაქოსა და ბათუმში; რუსეთის აფთიაქებსა და სააფთიაქო მაღაზიებში.

ფასი 1 მან. 5 კაპ.

კბილებს

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვამზადებ ცუდ სუნს. გ. მახოხვედი. მიხეილის ქ., № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—25

პირველი საწყობი

შეშისა

გ. ი. კურცხალიასი

ანდრეევის ქუჩა, დამოვის პირდაპირ. საკუთარის ტყიდან მიღებულია დიდ-ძალი შეშა ყოველგვარ ღირსებისა, რცხილისა, წიფლისა, მუხისა, რთხმელისა და სხვა მუხის დიდი ბოძები. შეშის სახლში მიტანას ფირმა საკუთარ პავოზკებით კისრულობს. შეშა იყიდება საჟენობითაც და ფუთობითაც. მყიდველს ნება აქვს შეშის ჩაყენი თავის თვალ წინ დაადგმევინოს, რადგანაც მსყიდველები ხშირად სტყუვდებიან დადგმულ საჟენებიდან. მეორე განყოფილება იმყოფება ვერის ხიდის ყურთან.

(90—26)

გამგე ნიკოლოზ პავლეს ძე კიკნაძე.

საჭირო კაცები გაზეთების გასაყიდად

მიმართეთ [illegible] სახლი № 99, [illegible] დილით 10 საათიდან შუადღის 12 საათამდე. (2—134—1).

იყიდება იაფად ტფილისა და გორში ხეხილის ხეები და ნერგები კ. აფრიკანის სანერგე „ტრიუ“-იდან. მსურველებმა უნდა მიმართონ: ტფილისში—მადანა მელიქ-ბახტამიანცისას და ამხან. ჰუშკინ. ქ. გორში—კ. აფრიკანს კატალოგები უფასოდ. (10—87—10)

ფეხსაცმელი

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობის,

მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა.

აგრეთვე მაწრაფლ-მაშალიები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისისა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО

С.ПЕТЕРБУРГЪ

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს

ტყავის საქონელი

რუსეთსა და საზღვარ-გარეთ დამზადებული, მრავლად არის

სავაჭრო სახლის

„ლეოპოლდ ნეიშელლერ“-ის საწყობში.

ტელეფონი № 346. ერევნის მოედანი. (60—б.—1)

(60—9)